ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 14 მარტი, 2023 | №51 (9087) | ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელენე ხოშტარია: „ვრცელდება ინფორმაცია, რომ შსს-მ და სუს-მა მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკითხვაზე დაბარება დაიწყო“

გვ.2



# რატომ გააქტიურა ივანიშვილმა ვიქტორ ყიფიანი?!






გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „კობახიძეები, მდინარაძეები, ოხანაშვილები ნამდვილად აღარ იქნებიან ახალ საპარლამენტო სიაში“



## „ეს ხელისუფლება ვერავის ვერ წაიყვანს ჯარში მონად!“

იაგო ხვიჩია: „პრორუსული კანონის მიმღებ ხელისუფლებას, პრორუსული ჯარის მოწყობას და იქ ახალგაზრდების ძალით წაყვანას, არ დავანებებთ. უკან გაიტანონ ეს კანონი, ისე, როგორც შემოიტანეს“

გვ.2



„ჩვენ დავინახეთ 76 დეპუტატი სიმაღლის მიხედვით დალაგებული, რომელიც მანამდე ყველამ იცოდა, რომ პროევროპელები იყვნენ და უცბად რუსულ კანონს დაუჭირეს მხარი. ეს სირცხვილი ჩამოსარეცხია და ამაზე უნდა ღელავდნენ ახლა“



გვ.4

## რატომ არ ერთვება ომში მინსკი?

ვისთვის და რისთვის შემოიღო ლუკაშენკომ სიკვდილით დასჯა?



ირაკლი ღარიბაშვილი: „ქართველები მგრძნობიარეები ვართ რუსული ოკუპაციის ფონზე ასეთი საკითხების მიმართ და თქვეს, რომ რუსულ კანონს იღებენ. ამან ბევრი კითხვა გააჩინა“

გვ.4

1993230720223

5 დაკავებისას ბადრი ესებუამ აღიარა, რომ „თანხის ნაწილი დახარჯა, ნაწილი კი დაკარგა“

6 მოლდოვაში პრორუსული ძალების გეგმები ჩაიშალა

5 მამაკაცს, რომელმაც ქუთაისში, მეზობელი სანადირო თოფიდან გასროლით შვილების თანდასწრებით მოკლა, უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

6 გენერალი ზალუჟნი რუსების ხაფანგში არ გაება

# „ეს ხელისუფლება ვერავის ვერ წაიყვანს ჯარში მო[illegible]!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.



**„ჩვენ დავინახეთ 76 დეპუტატი სიმაღლის მიხედვით დალაგებული, რომელიც მანამდე ყველამ იცოდა, რომ პროევროპელები იყვნენ და უცბად რუსულ კანონს დაუჭირეს მხარი. ეს სირცხვილი ჩამოსარეცხია და ამაზე უნდა ღელავდნენ ახლა“**

## იაგო ხვიჩია: „პრორუსული კანონის მიმღებ ხელისუფლებას, პრორუსული ჯარის მოწყობას და იქ ახალგაზრდების ძალით წაყვანას, არ დავანებებთ. უკან გაიტანონ ეს კანონი, ისე, როგორც შემოიტანეს“

*– იაგო, გასული კვირა საკმაოდ მღელვარე იყო, აქციებით დატვირთული და გუშინ, ამ პროცესების შეჯამების სახით, პრემიერ-მინისტრის ვრცელი ინტერვიუ მოვისმინეთ, რომელიც მხოლოდ მუქარასა და ლანძღვა-გინებაზე იყო აგებული. ვერ გამოიტანა ხელისუფლებამ ვერანაირი დასკვნა მიმდინარე პროცესებიდან? ცუდად გაიგეს ეს გაკვეთილი თუ რა ხდება?*

– ხელისუფლებამ გაკვეთილი გამოიტანა თუ არა ამ ყველაფრიდან, არ ვიცი, მაგრამ ბატონ ღარიბაშვილს რომ არ გამოუტანია, ეს ცალსახაა. მე მგონი, ჯერაც არ იცის, რა მოხდა ქვეყანაში. ღარიბაშვილის ინტერვიუმ კიდევ ერთხელ აჩვენა ქართველ ხალხთან ადეკვატური დამოკიდებულების პრობლემა. ღარიბაშვილს რაღაც სხვა რამე ჰგონია ის, რაც შინაარსობრივად სულ სხვაა. რეალურად კი რაც მოხდა, მოხდა ის, რომ ქოცებმა ლეგიტიმაცია დაკარგეს. ის ხალხი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში დასავლური დაპირებებით, როგორც ევროპელები, რომლებმაც კონსტიტუციაში შეიტანეს ჩვენი დასავლური და ევროატლანტიკური მომავლის შესახებ და ასე მოვიდნენ და დღეს იღებენ რუსულ კანონს და ასე ამთავრებენ. ნაცვლად იმისა, რომ ამას ხვდებოდეს პრემიერ-მინისტრი, ამაზე იღებდეს პასუხისმგებლობას და თავისი ნებით მიდიოდეს დაკავებული თანამდებობიდან, გამოდის და საერთოდ სხვა რამეს ამბობს. აცხადებს, რომ იქ სატანისტი ახალგაზრდები იდგნენ და მათ გაამწვავეს სიტუაციაო.

*– ძალიან არაადეკვატური ხომ არ იყო მისი განცხადებები?*

– დიახ, ძალიან არაადეკვატური იყო.

*– რატომ, ვერ გაიაზრა ღარიბაშვილმა, რა მოხდა?*

– არ ვიცი. მე ისე არ ვიცნობ ღარიბაშვილს, რომ მისი პიროვნების შესახებ გითხრათ, ან მის პრინციპებსა და შეხედულებებზე, რითაც ის იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს რომ არასერიოზულად გამოიყურება, რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ, ეს ფაქტია. იმის ვერ დანახვა, რა დაგმართა საკუთარმა გაჯიუტებამ პრორუსობაში, არის ასევე დიდი სიბრიყვე, რომელიც, უბრალოდ, ძალიან უცნაურად გამოიყურება, როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობ და იმასაც კი ვერ ხვდები, რა შარში ამოყავი თავი.

*– ვისმენთ შეფასებებს, რომ ღარიბაშვილის თავზე შავი ღრუბელი გროვდება და შესაძლოა ცვლილებებიც ვიხილოთო. როგორ ფიქრობთ, გაუშვებს ბიძინა ივანიშვილი ღარიბაშვილს?*

– არ ვიცი, რას იზამს ივანიშვილი, მაგრამ, ჩემი აზრით, ღარიბაშვილი აქამდეც არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. უფრო ადრეც იყო გასაშვები. ახლა მაინც უნდა მიხვდეს „ქართული ოცნება“, თუ რამის მიხვედრა უნდათ, რომ საფუძვლიანად უკან უნდა დაიხიონ, არა მარტო ამ კანონის უკან გამოთხოვით, არამედ კონკრეტული თანამდებობის პირები უნდა შეეწირონ ამ ამბავს. რამდენად იქნება ეს ღარიბაშვილი, არ ვიცი.

*– გამოდის ინფორმაციები, რომ რამდენიმე დეპუტატი უმრავლესობის დატოვებას აპირებს. ამაზე თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია? ალბათ ლოგიკურიც იქნება.*

– აქამდე რომ არ არიან გამოსულები, ეს არის არალოგიკური. იმ პროცედურაში რომ მიიღეს მონაწილეობა, ცხვრებივით რომ დაუჭირეს მხარი კანონპროექტს და მერე მოუწიათ ამ მხარდაჭერის უკან წაღება, ესეც საკმაოდ დიდი საფუძველი იყო იმისთვის, რომ აქამდე გამოსულიყვნენ „ქართული ოცნებიდან“, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. მე მაინც ამ თეორიას ვუჭერ მხარს.

*– თუკი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებს შევაფასებთ, გამოდის, რომ კანონის ჩაგდების გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიიღო და აქ არაფერ შუაშია პრემიერი? საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი პოზიციებია.*

– ყველანაირი ასეთი ტიპის გადაწყვეტილების უკან ივანიშვილი დგას, როგორც მხარდაჭერის, ისე უარყოფის. ის ხალხი, რომლებიც ამაში მონაწილეობდნენ, არის საშუალება, რომლითაც აი ეს რაღაცა პოლიტიკური მიზანი უნდა ყოფილიყო მიღწეული. თუმცა არ გამოუვიდათ და უკან დახევისას ამ ხალხს ძალიან სათაკილო მისიის აღება მოუწია საკუთარ თავზე. ძალიან შევდივარ მათ მდგომარეობაში და არავის არ ვუსურვებ იმ სიტუაციაში ყოფნას, რა სიტუაციაშიც ჩემი კოლეგები აღმოჩნდნენ „ქართული ოცნების“ მხრიდან.

*– საინტერესო შეფასებები მოვისმინეთ ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატის, ვიქტორ ყიფიანის მხრიდან, რომელიც აცხადებს, რომ ამ კანონპროექტის შემუშავება იმ ფონზე, როდესაც დასავლეთიდან ბევრი გაფრთხილება მივიღეთ, საინტერესოა, რა მიზანს ემსახურებოდაო. რას ნიშნავს ეს განცხადება? რაზე მიგვანიშნებს?*

– ვერ გეტყვით. მეტი დაკვირვება გვჭირდება იმისთვის, რომ გავიგოთ, სინამდვილეში რა ხდება. ახლა უბრალოდ არ იქნება ჩემგან სწორი იმ ინფორმაციით, რა ინფორმაციაც მე გამაჩნია, რამე სერიოზული აზრი გამოვთქვა. ფაქტია, რომ სრული ინფორმაცია არ გვაქვს, რაც ხდება იმასთან დაკავშირებით. ის, რომ ღარიბაშვილის ეს ქმედებები და ზოგადად „ოცნების“ ქმედებები, ივანიშვილისთვის კარგი ვერ იქნებოდა, ცხადია. ახლა მხოლოდ ის არის ადვოკატის მიზანი, რომ მის მამამარჩენლის რეპუტაციას ჩრდილი არ მიადგეს და ამიტომ ლაპარაკობს თუ რამე სხვაც ხდება, ამაზე მე ჯერჯერობით ინფორმაცია არ გამაჩნია.

*– ღარიბაშვილის განცხადებების შემდეგ, უნდა ველოდოთ აქციის მონაწილეებზე, ახალგაზრდებზე, იგივე ოპოზიციის ლიდერებზე რაიმე სერიოზულ წნეხს? დაჭერებს ხომ არ უნდა ველოდოთ? რა მოლოდინები გაქვთ?*

– მე მაქვს მოლოდინი, რომ ვიღაცა მიახვედრებს ღარიბაშვილს, რომ ასე ლაპარაკი არ შეიძლება. ახალგაზრდების დაჭერა კი არ არის რისკი, ბევრად უფრო მეტი რისკი ემუქრება ღარიბაშვილის თანამდებობას. მე მგონი, ამას უნდა მიხვდეს რაღაცნაირად. მისმა პოლიტიკამ არა მხოლოდ ახალგაზრდები გადაამტერა ხელისუფლებას, არამედ ყველასთვის გასაგები გახადა, სინამდვილეში რაზე ოცნებობენ ესენი და საით უნდათ წასვლა. აი ეს გაირკვა, როდესაც ეს ხალხი მოვიდა პროდასავლურობის მანტიით და საით წავიდნენ. ამ ყველაფრის გარკვევა რომ ღარიბაშვილის სახელს უკავშირდება, ამაზე უნდა ღელავდეს ახლა ღარიბაშვილი.

*– ოპოზიციაზე რას იტყვით? ვისმენთ შეფასებებს, რომ ვანო მერაბიშვილის ასეთი გააქტიურება და მისი განცხადებები სწორედ „ოცნების“ ინტერესებშიაო. თავად ნაციონალური მოძრაობის წევრი ბაჩო დოლიძე აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილი პროცესს ხელს უშლისო. რას იტყვით ამ ყველაფერზე? რა მიზანს ემსახურება ვანო მერაბიშვილის განცხადებები?*

– ჩემი აზრით, ვერანაირი ვანო მერაბიშვილი ვერ გადაარჩენს „ქართულ ოცნებას“ იმ

გაგრძელება მე-3 გვერდზე



## პოლონელი ექიმები მზად არიან სააკაშვილთან ჩასასვლელად და ელოდებიან ქართული მხარის ოფიციალურ თანხმობას

პოლონელი ექიმების ჯგუფი მზადაა, თბილისში ჩაფრინდეს საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დასახმარებლად და ელოდება საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ თანხმობას. ამის შესახებ ვარშავაში 13 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე პოლონეთის მთავრობის სპიკერმა პიოტრ მიულერმა განაცხადა.

– ჯერჯერობით ჩვენ ველოდებით ქართული მხარის ოფიციალურ თანხმობას ამ საკითხზე. რეალურად არის ასეთი განცხადება ჩვენი მხრიდან და გადაიდგა ფორმალური ნაბიჯები, – განაცხადა მიულერმა.

მისი თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლებას არაფერი აქვს სასაყვედურო, მაშინ არ არსებობს მიზეზი, რომ ასეთი თანხმობა არ გასცეს.

მიულერმა აღნიშნა, რომ თბილისში საქართველოს ექსპრეზიდენტის სამედიცინო მომსახურების პროცესი სერიოზულ ეჭვებს აჩენს საერთაშორისო საზოგადოებაში. ამიტომ, პოლონური მხარე მზადაა, ამ ეჭვების გასაფანტად საქართველოში სამედიცინო მისია გაგზავნოს.

ცნობისთვის, 10 თებერვალს ევროკავშირის სამიტზე პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავიეცკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი მზად არის, მიიღოს პოლიტიკოსი სამკურნალოდ.

## ელენე ხოშტარია: „ვრცელდება ინფორმაცია, რომ შსს-მ და სუს-მა მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკითხვაზე დაბარება დაიწყო“

– კატეგორიულად გაფრთხილებთ, არ გაბედოთ მშვიდობიანი მოსახლეობის, იმ ადამიანების შს სამინისტროში დაბარება და დევნაზე ფიქრიც კი, რომელთაც ამ დღეების განმავლობაში ევროპული მომავალი დაიცვეს, – ამის შესახებ პარტია „დროას“ ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, თუ ვინმე არის დასასჯელი, არიან პოლიციელები და ბრძანების გამცემლები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას დაესხნენ თავს.

ხოშტარიას განმარტებით, თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს, კიდევ უფრო მძაფრ აქციას მიიღებს.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ შს სამინისტრომ და სუს-მა დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკითხვაზე დაბარება. პირველი, რაც მინდა ხელისუფლებას ვუთხრა:



კატეგორიულად გაფრთხილებთ, არ გაბედოთ მშვიდობიანი მოსახლეობის, იმ ადამიანების შს სამინისტროში დაბარება და დევნაზე ფიქრიც კი, რომელთაც ამ დღეების განმავლობაში დაიცვეს ევროპული მომავალი.

მეორე, ძალადობაში დამნაშავეები ხართ თქვენ და თუ ვინმე არის დასასჯელი, არიან ის მოძალადე პოლიციელები და ბრძანების გამცემლები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას დაესხნენ თავს.

მინდა მივმართო ყველა მოქალაქეს, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შს სამინისტროში ან სუს-ში დაგიბარებენ, გამოვაქვეყნებთ ტელეფონის ნომრებს, მოგვმართეთ და ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენს დაცვას.

არავინ ჩათვალოს, რომ ამ ადამიანებს ცალ-ცალკე დაერევით. ჩვენ, ყველა ერთად ვართ, იდეის გარშემო და ეს იდეა არის, მათ შორის, ამ ადამიანების დაცვა. ამიტომ, თქვენ თუ ასე გააგრძელებთ, მიიღებთ კიდევ უფრო მძაფრ აქციას, სადაც საჭირო იქნება, შს სამინისტრო თუ სუს-ი, – განაცხადა ხოშტარიამ.

## ხატია დეკანოიძე: „იმედი მაქვს, ვანო მერაბიშვილი პოლიტიკურ განცხადებებს მოერიდება“

– იმედი მაქვს, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტიკურ განცხადებებს მოერიდება – ყველა განცხადებას, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეიძლება პროპაგანდისტულად გამოადგეს, ვაფასებ ცუდად, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ხატია დეკანოიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც დეკანოიძემ ამ კონტექსტში აღნიშნა, მმართველი გუნდის პროპაგანდისტული მანქანა ყველას და ყველაფერს გამოიყენებს, ამიტომ ყველა უნდა იყოს ფრთხილად.

– ყველა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ პროპაგანდისტულ მანქანასთან, რომელმაც შეიძლება საქართველოს ევროპულ მომავალს სერიოზული ზიანი მიაყენოს. იმედი მაქვს, რომ ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური განცხადებები შემდგომში აღარ გავრცელდება, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

საქართველოს შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებენ.

მერაბიშვილის თქმით, მთავარი მიზანი მთავრობის შეცვლაა.

– ვაპირებთ და დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება დაგვიჭერს მხარს, მასობრივი საპროტესტო აქციები დავიწყოთ. რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი მიზანია მთავრობის შეცვლა და პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოსვლა საქართველოში, რომ უკრაინა არ იყოს მარტო იმიტომ, რომ ჩვენ პრაქტიკულად მოკავშირეები ვართ, – განაცხადა მერაბიშვილმა.

მერაბიშვილის თქმით, საქართველომ და უკრაინამ ერთად უნდა იზეიმონ რუსეთზე



გამარჯვება, ასევე ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება.

მერაბიშვილის განცხადებით, დარწმუნებულია, რომ „გაზაფხული და ზაფხული იქნება საინტერესო საქართველოს პრობლემების გადაწყვეტისთვის“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ გააქტიურა ივანიშვილმა ვიქტორ ყიფიანი?!

## ვახტანგ ძაბირაძე: „კობახიძეები, მდინარაძეები, ოხანაშვილები ნამდვილად აღარ იქნებიან ახალ საპარლამენტო სიაში“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შესაძლო სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ვიქტორ ყიფიანის განცხადებას და ერთგვარ კრიტიკას ირაკლი კობახიძის მიმართ არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. შეიძლება ეს ყველაფერი სამთავრობო ცვლილებებს უკავშირდებოდეს? ღარიბაშვილი ყიფიანმა ჩაანაცვლოს?***

– ვიქტორ ყიფიანი, როგორც ერთ-ერთი სათადარიგო ვარიანტი ახალი პრემიერის პოზიციაზე, დიდი ხნის წინ ვივარაუდე. საჭიროების შემთხვევაში ეს სათადარიგო სვლა აუცილებლად განხორციელდებოდა. ვფიქრობ, სწორედ ეს დრო დადგა. ჩემი პოზიციის გასამყარებლად შემიძლია რამდენიმე არგუმენტი მოვიყვანო. ყიფიანი ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა. მან ორი ღია წერილი გამოაქვეყნა საქართველოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით. აქამდე მას პოლიტიკის მიმართ ინტერესი არ გამოუვლენია. ახლა აშკარაა, რომ ამ ინტერესს ავლენს. ეს მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს: ის საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური უნდა იყოს და თავისი ხედვა უნდა ჰქონდეს. ამას ემატება ანალიტიკური ჯგუფის შემოკრება, რომელთან ერთადაც მან გარკვეული ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. რას უნდა მივაწეროთ მისი მოულოდნელი გააქტიურება თუ არა ამ მიზანს?!

აშკარაა, რომ ივანიშვილი სათადარიგო ვარიანტებს ამუშავებს და ასეთ პიროვნებებსაც ეძებს. როგორც ჩანს, ახლა მოთხოვნილება ცოტა უფრო სხვაგვარია. შერჩეული პირი ერთნაირად მისაღები უნდა იყოს დასავლეთისთვისაც და ქართველი საზოგადოებისთვისაც.

***– რუსეთისთვის?***

– ალბათ, რუსეთისთვისაც. ყიფიანის მიერ ირაკლი კობახიძის თუ კანონპროექტის გაკრიტიკება, ჩემი აზრით, ამყარებს. წარმოუდგენელია, ეს ღიად გაეკეთებინა მას, თუ არა ამის საჭიროება.

***– ანრი ოხანაშვილმა, ვიქტორ ყიფიანს დიდი ხანია კავშირი არა აქვს ბიძინა ივანიშვილთანო. ოხანაშვილის ამ განცხადებას რითი ხსნით?***

– ეს ზუსტად ჯდება იმ პოზიციაში, რაზეც უკვე ვისაუბრე. დიახ, ბიძინა ივანიშვილს სამთავრობო ცვლილებებთან, პრემიერის შეცვლასა და ახლი კანდიდატის შერჩევა-წარდგენასთან არავითარი კავშირი არ აქვსო, გვეუბნება ანრი ოხანაშვილი. მხოლოდ ამას ნიშნავს ეს განცხადება. ჩვენ დამოუკიდებლად ვმოქმედებთო, თუ ყიფიანს წარვადგენთ პრემიერად, ეს ჩვენი არჩევანი იქნება და არა ივანიშვილისო.

***– ყიფიანი ახალი გუნდით?***

– რა თქმა უნდა! ეს არის სათადარიგო ვარიანტი, რომელიც სწორედ ამ შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო, ანუ კრიზისის შემთხვევაში. რასაკვირველია, კანონპროექტის ჩავარდნა და ის აქციები კრიზისის ნიშანია.

ახლა მნიშვნელოვანია, როდის მოხდება ეს ცვლილებები. ეს ცვლილებები დაუკავშირდება ევროკავშირის მიერ დაწესებულ 12 პუნქტს, მის შესრულება – არ შესრულებას და ევროკავშირის გადაწყვეტილებას თუ მანამდე. თუ მივიღებთ ევროკავშირისგან სტატუსს, ამის შესახებ წინასწარ იქნება შესაბამისი სიგნალები ევროკავშირისგან, ამ შემთხვევაში ეს წარმატება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეწეროს ძველ გუნდს ანუ ღარიბაშვილს და მის გუნდს. მით უფრო იმ კატასტროფული ინტერვიუს შემდეგ, რომელიც „იმედზე“ ჰქონდა, ეს სრულიად გამორიცხულია.

***– მოვიდა ახალი, პროდასავლური კურსის გამტარებელი გუნდი?***

– ეს შეიძლება ასე ძალიან არ იყოს აფიშირებული რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, მაგრამ შიდა პოლიტიკაში ეს იქნება წამყვანი. დიახ, მოვიდა ის გუნდი, რომელმაც მიიღო სტატუსი.

***– 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიაც შეიძლება ამაზე ააგონ?***

– დიახ, სავსებით შეიძლება.

***– ღარიბაშვილითა და არსებული გუნდით 2024 წლის არჩევნებზე გასვლა გამორიცხულია?***



– დიახ, ნამდვილად გამორიცხულია, საერთოდ არაფერი რომ არ მოხდეს. სავსებით განახლდება საპარლამენტო სიაც. კობახიძეები, მდინარაძეები, ოხანაშვილები ნამდვილად აღარ იქნებიან ახალ სიაში. ეს ხალხი ბორტს მიღმა აღმოჩნდება. სულ სხვა ხალხით დაკომპლექტდება ახალი სია. ალბათ ვიქტორ ყიფიანი გახდება პარტიის თავმჯდომარე და ძირითადად მისი გუნდით დაკომპლექტდება სიაც. რა თქმა უნდა, სიას თავიდან ბოლომდე ივანიშვილი დააკომპლექტებს ან შეათანხმებენ მასთან.

ასეთი სათადარიგო სვლები პოლიტიკისთვის ახალი არ არის და ამაში უცნაური არც არაფერია. ეს სრულიად გასაგებია. აქ მთავარია, რამდენად შესწევს უნარი განახლებულ თუ ძველ „ქართულ ოცნებას“ ფუნდამენტური ცვლილებებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ საქმის შემობრუნების. არა, ნამდვილად არ შესწევს, როგორც არ უნდა განახლდეს და ვინც არ უნდა მოიყვანონ.

## სერგო ჩიხლაძე: „არც გაიფიქროთ, რომ ახალგაზრდებს ჩუმად დახვდებით, დააშინებთ, პოლიციაში წაიყვანთ ან უბნის „ძველ ბიჭს“ მიუგზავნით“

– როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ და ძალოვანი უწყებები უკან არ იხევენ, უკან არ დაუხევიათ და პირიქით, გადავიდნენ ძალადობაზე, ცალკეულ ჯგუფებზე თუ ახალგაზრდებზე, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სერგო ჩიხლაძემ განაცხადა.

როგორც ჩიხლაძემ ბრიფინგზე აღნიშნა, ახალგაზრდებზე ზეგავლენის ან დაშინების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი ადამიანი გამოვა, ვიდრე ეს იყო 7-8-9 მარტს.

– კიდევ ერთხელ გეუბნებით და გაფრთხილებთ, რომ გეყოთ ის უსამართლობა, რაც გამოიჩინეთ მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს. ამისთვის უნდა აგოთ პასუხი.



არც გაიფიქროთ, რომ რომელიმე ახალგაზრდას ჩუმად სადმე დახვდებით, ან დააშინებთ, ან პოლიციაში წაიყვანთ, ან უბნის „ძველ ბიჭს“ მიუგზავნით. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, უფრო მეტი ადამიანი გამოვა, ვიდრე სამი დღის განმავლობაში იყო, 2-ჯერ უფრო მეტი ახალგაზრდა გამოვა და ძალიან ცუდად დასრულდება ეს ყველაფერი. ჩვენ ვიდგებით ყველა ამ ადამიანის გვერდში და გვექნება რეაგირება, – განაცხადა ჩიხლაძემ.

## დიტო სამხარაძე: „დიმა ჩიქოვანი კეზერაშვილის ცოლისძმაა, კეზერაშვილი და მერაბიშვილი მისი ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც ჩართული იყო ბოლო დღეების მოვლენებში“



– დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლისძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ რეგიონული მდივანი დიტო სამხარაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, ამ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული ვინმე დათო ჩხობაძე, რომელიც დღეს აქტიურობდა ლექტორი ელიზბარ ელიზბარაშვილის პროვოკაციის მოწყობაში და ამის შემდეგ მისცა ინტერვიუები ნაცმოძრაობის ტელევიზიებს, რისთვისაც ჩიქოვანმა დღესვე გადაურიცხა 1.000 ლარი.

– მოკლედ, ასეთი ამბავია, დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლისძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება.

როგორც მეუბნებიან, ამ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული ვინმე დათო ჩხობაძე, რომელიც დღეს აქტიურობდა ლექტორი ელიზბარ ელიზბარაშვილის (თუ სახელი არ მეშლება) პროვოკაციის მოწყობაში და ამის შემდეგ მისცა ინტერვიუები ნაცების ტელევიზიებს, რისთვისაც ჩიქოვანმა დღესვე გადაურიცხა 1000 ლარი. ოღონდ თან აგინებდა ამ ორგანიზაციის სტუდენტებს, მაგათი თითო განცხადება 1000 ლარი გვიჯდებაო.

რას კადრულობენ, ხვდებით? ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ განცხადებებს სთხოვენ და ფულს უხდიან ამაში.

თუ არასწორს ვწერ რამეს, გამოაქვეყნეთ დღევანდელი გადარიცხვები!!!! – წერს დიტო სამხარაძე.

მისივე თქმით, დიმა ჩიქოვანი ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრია, რომელიც ამბობს – „მაგ სტუდენტებმა ერთი ადგილი რომ გაანძრიონ, თითო განცხადება ათასი ლარი მიჯდებაო.

„დიმა ჩიქოვანი ვინაა?? ნაცების პოლიტსაბჭო, აგერ მეუბნებიან ჩემები.

როგორც კი ერხევათ, საცერივით რომ გამოდის მერე ინფოები, კი იცით. ეს დადის და ხალხში ლაპარაკობს, რისი ენთუზიაზმი არა ... (შედარებით ზრდილობიანად ვწერ მიახლოებით ციტირებას), მაგ სტუდენტებმა ერთი ადგილი რო გაანძრიონ, თითო განცხადება ათასი ლარი მიჯდებაო. დღეს ის ქლიავი ელიზბარა თუ ვილაცა რომ მიეკაჩავებინა და მერე ინტერვიუ მიეცა, კიდე ათასი ლარი გადამარიცხინა ჩხობაძემო.

ბოლომდე გავარკვევ, რომელი ვინაა და დაგიბრუნდებით. ბოლომდე უნდა გავშიფრო ბოლშევიკები!!!

ის „პრისტუპნიცა“ ბავშვი უკვე მაგარი გაპიარებული იყო, დავაგვიანეთო – ეს რას ნიშნავს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ თვითონ რომ დაცხებათ, ეს ვიცი ზუსტად, ამ პოსტს რომ წაიკითხავენ...

დანარჩენს ვარკვევ და დავწერ ეგრევე! – წერს სამხარაძე ფეისბუქზე.

## რუსული მედია: „საქართველოდან რუსეთში შემოსულთა რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა“

ჩრდილოეთ ოსეთში საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში შემოსული ადამიანების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა. გასული კვირის განმავლობაში ზემო ლარსის საგუშაგო 14.000-ზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა. რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის რეგიონის ვიცე-პრემიერმა ირბეკ ტომაევმა განაცხადა.

– ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ზემო ლარსის გამშვები პუნქტი ორივე მიმართულებით 26.000-ზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შემოსული ადამიანების რიცხვი გაიზარდა – 14.000-ზე მეტი ადამიანი, – განუცხადა ტომაევმა „რია ნოვოსტის“.

სააგენტო წერს, რომ ინფორმაცია რუსეთის შესასვლელებთან საცობების შესახებ გასულ კვირას საქართველოში საპროტესტო აქციების ფონზე გაჩნდა.

## გიორგი გახარია: „ნიდერლანდების ელჩს ვთხოვე მხარდაჭერა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში“

პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის, გიორგი გახარიას განცხადებით, მან საქართველოში ნიდერლანდების ელჩს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში, საქართველოს მხარდაჭერა სთხოვა.



როგორც გიორგი გახარიამ სოციალურ ქსელში აღნიშნა, დემოკრატიის გზაზე საქართველოს დაბრუნებისთვის ეს ერთადერთი გზაა.

– დღეს შევხვდი საქართველოში ნიდერლანდების ელჩს და ვთხოვე ნიდერლანდების მთავრობის მხარდაჭერა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესში, ევროინტეგრაციაზე ხელისუფლების პოზიციის მიუხედავად. ეს არის ერთადერთი გზა, რომ საქართველო დაბრუნდეს დემოკრატიის გზაზე, – წერს გახარია სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“.

## „ეს ხელისუფლება ვერავის ვერ წაიყვანს ჯარში მონად!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გაუგებრობებისგან, რაც თავად გამოიწვიეს. მათ ბევრი ასეთი იარაღი აქვთ, როცა იციან, რომ სხვის განცხადებებს გამოიყენებენ საკუთარი მიზნებისთვის და იმას ბოლომდე გაათამაშებენ. თუმცა ახლა ეს არ გამოვიდა. არც მაშინ გამოვიდა, როცა მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ თვითონ და ცდილობდნენ, დაებრალებინათ ახალგაზრდებისთვის. ასევე არ გამოვიდა ქვების სროლის პროვოკაციაც. საერთოდ მსგავსი რამე არ გამოდის, რადგან ადამიანები, საბოლოო ჯამში, მიხვდნენ „ქართული ოცნების“ მიზანს. მათ მართლა შეექმნათ ლეგიტიმაციის პრობლემა. იქიდან გამომდინარე, რომ სხვა დაპირებით, სხვა მიზნებით მოსული ხალხი, აღმოჩნდა, რომ არ არიან გულწრფელი ადამიანები, სინამდვილეში სხვა რამე უნდათ. ჩვენ დავინახეთ 76 ადამიანი სიმაღლის მიხედვით დალაგებული, რომელიც მანამდე ყველამ იცოდა, რომ პროევროპელები იყვნენ და უცბად რუსულ კანონს დაუჭირეს მხარი. ეს სირცხვილი ჩამოსარეცხია და ამაზე უნდა ღელავდნენ ახლა.

***– რუსეთიდან წამოსული აღშფოთებული განცხადებები და მუქარანარევი ტონიც მოვისმინეთ. ანუ მათ ინტერესში იყო ამ კანონის მიღება?***

– მათ ინტერესში იყო ჩვენი ქვეყნის რეპუტაციის და სახელის შებღალვა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ამ კანონის მიღებით. თუმცა ქოცებს საბოლოოდ არ გამოუვიდათ ამ კანონის მიღება. ამ ყველაფრის შემდეგ, ღარიბაშვილს რომ კიდევ ასეთი ტონი აქვს და მას ჰგონია, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია და ხალხი ამას გაუტარებს, ვილაცისთვის შესაძლოა, ესეც იყოს დიდი სირცხვილი. ეს საქმე ბოლომდე გვაქვს მისაყვანი. „ოცნებას“ რაც უნდოდა, გაირკვა. ასე მათ არ შეუცვლიათ არც ამ გადაწყვეტილების მიმღები ხალხი, არც არავის აულია ამაზე პასუხისმგებლობა.

***– ადამ კინზინგერი აცხადებს, მე ვიცნობ ქართველ ხალხს და, როგორც ჩანს, თქვენი პრემიერი არ იცნობსო. ბევრი ფიქრობს, რომ მოუწევს ღარიბაშვილს წასვლა და თქვენ რას ფიქრობთ?***

– მეც ვეთანხმები ამ შეფასებებში. ღარიბაშვილი უნდა წავიდეს.

***– კვირის ბოლოს „გირჩმა“ აქცია გამართეთ თავდაცვის კოდექსთან დაკავშირებით. დაიხევს უკან ხელისუფლება თუ სავალდებულო გახდება ჯარი?***

– ეს ხელისუფლება ვერავის ვერ წაიყვანს მონად ჯარში! ჯერ საერთოდ იქიდან დავიწყოთ, რუსულ ჯარს აშენებენ თუ ქართულს. პირველი ამას უნდა უპასუხონ, რა ჯარში ეპატიჟებიან ამ ადამიანებს. აი ამაზეა პასუხი გასაცემი. პრორუსული კანონის მიმღებ ხელისუფლებას, პრორუსული ჯარის მოწყობას და იქ ახალგაზრდების ძალით წაყვანას, არ დავანებებთ. ასე რომ, ვურჩევ მათ, უკან გაიტანონ ეს კანონი, ისე, როგორც შემოიტანეს.

# რატომ არ ერთვება ომში მინსკი?

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო დროს პუტინის თანამზრახველმა ბელარუსის დიქტატორმა ლუკაშენკომ უკრაინის პრეზიდენტი არაერთხელ ცუდად მოიხსენია და უკრაინის მიმართ მძაფრი განცხადებები აკეთა. ჩაერთვება თუ არა ბელარუსი უშუალოდ ომში? ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა ბელარუსი პოლიტოლოგი ვალერი კარბალევიჩი.**



## ვისთვის და რისთვის შემოიღო ლუკაშენკომ სიკვდილით დასჯა?

***– ალექსანდრ ლუკაშენკომ ბოლო ხანს თავი გამოიჩინა უკრაინის მიმართ მკვახე განცხადებებით. რას უკავშირდება ეს?***

– საბაბი თვალნათელია – 26 თებერვალს მინსკთან მდებარე მაჩულიშჩების სამხედრო აეროდრომზე მოხდა თავდასხმა რუსულ თვითმფრინავ ა-50-ზე. ეს განხორციელდა ორი დრონით. დაზიანებული თვითმფრინავის სასწრაფო ევაკუაცია მოხდა ტაგანროგის სარემონტო ქარხანაში. ბელარუსის ხელისუფლების ვერსიით, ეს უკრაინის სპეცსამსახურების ნამოქმედარია. ქმედების შემსრულებლად გამოცხადებული ნიკოლაი შვარცი დაკავებულია და ჩვენებებს იძლევა.

უკრაინამ ამ ინციდენტთან კავშირი უარყო. მასზე საუბარი დაიწყო ლუკაშენკომ.

***– ლუკაშენკომ განაცხადა, გამოგვიწვიესო. შეიძლება თუ არა ეს ნიშნავდეს მისი მხრიდან მზადებას ბელარუსის ომში პირდაპირ ჩასაბმელად?***

– ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი. ლუკაშენკომ ისიც განაცხადა, რომ უკრაინასა და მის უკან მდგარ აშშ-ს სურთ ბელარუსის ომში ჩათრევა, მაგრამ ეს არ გამოვა.

ვფიქრობ, რომ მართლაც ასეა, ვინაიდან ბელარუსის სრულფასოვანი მონაწილეობა ომში მოქმედი ხელისუფლებისთვის ძალიან სარისკოა. ბელარუსის საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა გამოდის ამის წინააღმდეგ. ბელარუსებისთვის ეს სხვისი ომია. ბელარუსში ომის წინააღმდეგ გამოდიან არა მარტო ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეები, არამედ, მომხრეებიც. ლუკაშენკოს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ასეთი განწყობები.

მეორე მხრივ, ლუკაშენკო აცხადებს: „რუსეთს ვუჭერთ მხარს, მაგრამ ზოგადად მშვიდობა გვინდა და მზად ვართ ამ მშვიდობისთვის რალაც გავაკეთოთ". ფაქტობრივად, აცხადებს მზადყოფნას, დაუბრუნდეს ომამდელ სიტუაციას, როცა მინსკი დონბასში კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე მოლაპარაკებათა ცენტრი იყო და მას ჰქონდა ურთიერთობა ევროპელ პარტნიორებთან. ლუკაშენკოსთვის მომგებიანი იქნებოდა ამ სიტუაციის გამეორება. ამით ის თავს დააღწევდა აგრესიის თანამონაწილის როლს.

***– თუ დასავლეთთან ურთიერთობის დალაგება უნდა, მაშინ რით ხსნით მისი მხრიდან სიკვდილით დასჯის დაწესებას ჩინოსნებისა და სამხედროებისათვის, რომლებსაც ბრალად დაედებათ სახელმწიფოს ღალატი?***

– ბელარუსში დღეს მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობს. მაჩულიშჩების აეროდრომზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ ლუკაშენკომ „ყველას გაწმენდის" ბრძანება გასცა. ბელარუსში მუდმივად ეწყობა სასამართლოები პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ, პოლიტიკური საქმეებისათვის ადამიანებს უსჯიან 10-დან 20 წლით თავისუფლების აღკვეთას.

დღეს ბელარუსში სოციალურ ქსელებში კრიტიკული კომენტარებისთვის უშვებენ ხალხს ციხეში. ახალი კანონი ამ პროცესის ფარგლებში მიიღეს. ამ კანონით, ჩინოსნებსა და ძალოვანი ბლოკის წარმომადგენლებს ღალატისთვის სიკვდილით დასჯიან. „სამშობლოს ღალატის" ცნების განმარტება ბელარუსში ფართოა. ამ მუხლისათვის უკვე გაასამართლეს ჟურნალისტები, რომლებიც ლუკაშენკოს აკრიტიკებდნენ.

***– ლუკაშენკოს ეშინია, რომ გარკვეულ პირობებში შეიძლება დაამხონ, განსაკუთრებით, უკრაინაში ომის ფონზე?***

– ბუნებრივია. ნებისმიერი ავტორიტარული მმართველობის დროს არსებობს რევოლუციებისა და გადატრიალებების შიში. ამჟამად იღებენ ზომებს ძალაუფლების გასამყარებლად.

***– რუსეთს თუ შეუძლია მისთვის საფრთხის შექმნა? შეუძლია თუ არა მას მისი შეცვლა? საზღვარზე ინციდენტების შესახებ რას იტყვით?***

– რუსეთის გავლენის გაძლიერება ავიწროებს ბელარუსის სუვერენიტეტს. ეს, გარკვეულად, ბელარუსის ხელისუფლების შემცირებაცაა. ალექსანდრ ლუკაშენკო ამით კმაყოფილი არ არის, მაგრამ ვერაფერს იზამს.

საზღვარზე მომხდარი თუ მოსახდენი პროვოკაციები შეიძლება სხვადასხვანაირად აღიქვა. ლუკაშენკომ ადრე განაცხადა, რომ როგორც კი უკრაინის მხრიდან ბელარუსის მისამართით იქნება სამხედრო ხასიათის მოქმედებები, ბელარუსი ამას უმკაცრესად უპასუხებს.

უკანასკნელ ხანს მოხდა ბევრი ინციდენტი. სურვილის შემთხვევაში, ისინი თავდასხმად შეფასდება. მაგალითად, უკრაინის ტერიტორიიდან გადმოცვივდა რაკეტის ნამსხვრევები, ზიაბროვკის აეროდრომზე მოხდა აფეთქებები, თავდასხმა იყო რუსულ თვითმფრინავზე. ამის გამო მინსკი ომში არ ჩართულა. ბელარუსში ომი არ უნდათ.

ლუკაშენკოს შეცვლა სახელმწიფო გადატრიალების გზით – ეს ძალიან სარისკო თამაშია. ლუკაშენკოს წასვლით რეჟიმიც დაინგრევა. მაშინ ადამიანები გამოვლენ ქუჩებში და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერთვება ოპოზიცია. პროცესებში ჩაებმებიან უკრაინა და დასავლეთი. რუსეთი ვერ მოახერხებს ამ პროცესების კონტროლს. ამიტომ, ბელარუსში ერთი დიქტატორის მეორეთი შეცვლა, მოსკოვისთვის არახელსაყრელია. ლუკაშენკოს მოშორების შემდეგ შეიძლება კრემლმა მიიღოს უფრო ანტირუსულად განწყობილი რეჟიმი, ვიდრე ლუკაშენკოსია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა საჯაროდ მადლობა გადავუხადო ბატონ ვახტანგ გომელაურს, მის გუნდს"

– პირველ რიგში, მინდა საჯაროდ, თქვენი ეთერის საშუალებით, მადლობა გადავუხადო ბატონ ვახტანგ გომელაურს, ჩვენს მეგობარს, მის გუნდს, თითოეულ პოლიციელს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს, მის ხელმძღვანელობას, აბსოლუტურად ყველას, ყველა პოლიციელს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, იდეალურად დაგეგმა და შეასრულა ეს ღონისძიება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერი იყო იდეალურად განსაზღვრული, გათვლილი და ყველაფერი იყო კონტროლის ქვეშ.

– მე ამ პროცესს ვაკვირდებოდი თავიდან ბოლომდე და ვიცი, რამდენად მაღალპროფესიონალურად შეასრულეს ბიჭებმა ეს ურთულესი გამოწვევა. ძალიან რთული იყო, აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ იქ რაღაც უბედურება არ მომხდარიყო, ღმერთმა დაგვიფარა და მადლობა უფალს, რომ ეს ყველაფერი ძალიან, მეტ-ნაკლებად ნაკლები დანაკარგის, ნაკლები პრობლემების, გართულების გარეშე დასრულდა. ჩვენმა პოლიციამ ძალიან მაგრად იმუშავა, სიმტკიცე გამოიჩინეს, მაღალი პროფესიონალიზმი და ამავდროულად, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი სახე – ჰუმანურობა – კიდევ ერთხელ წარმოჩინდა.

ძალიან ბევრი კრიტიკა მოვისმინეთ, რომ თითქოს პოლიციამ გადაამეტა. ეს არის სიცრუე, ეს არის სისულელე. ვინ დაიწყო ძალადობა, ძალადობა დაიწყო, რაც მე ჩამოგითვალეთ, ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდულმა ფრთამ და მათი სახელები და გვარები ყველამ ვიცით, ეგრეთ წოდებულმა გირჩის მოძრაობამ, პროვოკატორი ჯაფარიძის მოძრაობამ და „ფრანკლინის კლუბის" ანარქისტებმა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ქართველები მგრძნობიარეები ვართ რუსული ოკუპაციის ფონზე ასეთი საკითხების მიმართ და თქვეს, რომ რუსულ კანონს იღებენ. ამან ბევრი კითხვა გააჩინა"

– თქვეს, რომ რუსულ კანონს იღებენ. ამან, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა. ამას დაემატა ის განცხადებები, რომელიც შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი წამახალისებელი განცხადებები, ჩვენი უცხოელი პარტნიორების, კოლეგების, ელჩების მხრიდან, რამაც დააბნია საზოგადოების გარკვეული ნაწილი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ტელეკომპანია „იმედის" ეთერში განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, აქ ძალიან კოორდინირებული ქმედება და საქმიანობა გამოჩნდა.

– რაც შეეხება პროცესს, როგორც წარიმართა, ჩვენ ორ ვარიანტს ვუყარეთ კენჭი. ჩვენ ორ ვარიანტს ვუყარეთ კენჭი, ორ ვერსიას, ანუ ერთი ამერიკული მოდელი ავიღეთ, თარგმნილი იყო და გადმოვიტანეთ და ვთქვით, რომ ზუსტად იდენტური ამერიკული მოდელი გვინდა, რომ მივიღოთ. მეორე იყო ქართული ვერსია, რომელსაც, თავიდანვე კარგად გააზრებული იყო ეს ყველაფერი, დაარქვეს რუსული კანონი. იცით, თუ როგორი მგრძნობიარეები ვართ ჩვენ ყველანი, ქართველები, მიმდინარე რუსული ოკუპაციის ფონზე ასეთი საკითხების მიმართ. და თქვეს, რომ რუსულ კანონს იღებენ. ამან, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა. ამას დაემატა ის განცხადებები, რომელიც შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი წამახალისებელი განცხადებები, ჩვენი უცხოელი პარტნიორების, კოლეგების, ელჩების მხრიდან, რამაც დააბნია საზოგადოების გარკვეული ნაწილი. აქ ძალიან კოორდინირებული ქმედება და საქმიანობა გამოჩნდა, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ოპოზიციის ამოცანა იყო ქაოსი, მუდმივი დესტაბილიზაციის შენარჩუნება, არეულობა და მათ, შეიძლებოდა, რამდენიმე ახალგაზრდა თავადვე მოეკლათ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელისუფლება კანონპროექტის გაწვევით გაუფრთხილდა ქვეყნის სტაბილურობასა და მშვიდობას.

– ჩვენ ვთქვით, ძალიან ცხადად, მკაფიოდ იყო ნათქვამი, მეც გამოვედი ამ კანონპროექტის კენჭისყრის დღეს, გავაკეთე განცხადება, ვთქვი, რომ ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ პირველი მოსმენით მივიღებდით კანონპროექტს და შემდეგ, დაუყოვნებლივ ვაგზავნიდით ვენეციის კომისიაში. თუ ამას ნებისმიერი გონიერი ადამიანი და პასუხისმგებლიანი მოქალაქე ისმენს, ვინც ჩვენი ქვეყნის მომავალს უფრთხილდება, რა თქმა უნდა, ამას კარგად გაიგებდა. ვისაც ამის გაგება არ უნდოდა, ასეთი ადამიანები აღმოჩნდნენ, ნაწილი ასეთი ადამიანებისა, პოლიტიკურად ანგაჟირებულები და ნაწილი, რომლებიც უბრალოდ, შეიძლება ასე ვთქვათ, მსუბუქად ნათქვამი, უბრალოდ დაიბნენ აი ამ ვითარებაში. ვენეციის კომისიაში გაგზავნის შემდეგ, ჩვენ ალბათ 3-4 თვე გვექნებოდა იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაგვეგრძელებინა ეს განხილვები. ამის მიუხედავად, ჩვენ ვნახეთ, რომ და მე აქვე ვიტყოდი, კიდევ ერთი კარგი, რაც მოხდა. ერთი, რაც თავში ვახსენე, რომ გამოჩნდა სახელმწიფოს სიძლიერე, ჩვენი სიმტკიცე, ხელისუფლების და ამავდროულად, ჩვენი ხელისუფლების გონიერება. გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ამ კანონის უკან



გაწვევის, ამ სიტუაციაში სახელმწიფოებრივად ყველაზე სწორი და გონივრული გადაწყვეტილება იყო. ამით ჩვენ, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ვაჩვენეთ, რომ არავის არ მივცემთ უფლებას, რომ ვილაცამ რაღაც დესტაბილიზაცია მოაწყოს, არეულობა და ქაოსი შემოიტანოს ქვეყანაში და მერე მეორე ფრონტები და ათასი სისაძაგლე გააჩაღოს. მეორე მხრივ, ვთქვით, რომ, ვიცოდით რა მათი ამ ძალიან ცუდი გეგმების შესახებ, მათი ამოცანა იყო ქაოსი, მუდმივი დესტაბილიზაციის შენარჩუნება, არეულობა, შეიძლებოდა რამოდენიმე ახალგაზრდა მოეკლათ თავადვე და ვთქვით, რომ ჩვენ ამ ნაბიჯით ვუფრთხილდებით ჩვენთვის ყველასთვის უფრო ძვირფასს, ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას, მშვიდობას და არა ომს! არა ომის პოლიტიკას! მთავარი მიზანი ამ აქციების და ჩვენი დესტრუქციული, ექსტრემისტული – მე ასე ვიტყოდი, აღარ არის მხოლოდ დესტრუქციული, ეს არის უკვე ექსტრემისტული ორგანიზაცია, კოლექტიური ნაცმოძრაობა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

– ნებისმიერ ადამიანს დღეს შეუძლია, იყიდოს ას ევროდ ბილეთი, გაფრინდეს ევროპაში და მეორე დღეს წამოვიდეს საქართველოში. ეს ვინ გააკეთა მეგობრებო? „ქართულმა ოცნებამ", ეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილმა დააბრუნა საქართველო დემოკრატიული განვითარების გზაზე.

– რაც შეეხება ზოგადად, ევროპის იდეას, მინდა, კიდევ ერთხელ ავუხსნა პირველ რიგში, ჩვენს ახალგაზრდებს, მათ მივმართო. ჩემო შვილებო, ჩემო დებო და ძმებო, გავიხსენოთ, საიდან დაიწყო ზოგადად ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე რეალური, ხელშესახები პროგრესი. ვინ მოიტანა რეალური პროგრესი. სააკაშვილმა? ნამდვილად არა. რატომ – სააკაშვილი იყო ერთ-ერთი ყველაზე ანტიევროპული თავისი ბუნებით, თავისი მმართველობის სტილით. შეშლილი დიქტატორი, რომელიც მართავდა ჩვენს ქვეყანას ბრუტალური, სასტიკი მეთოდებით. აწამებდა, კლავდა ხალხს, ახალგაზრდებს მათ შორის. 300.000 ადამიანი გაასამართლა. მისი გუნდის წევრები იყვნენ მერაბიშვილი, მკვლელი, ახალაიები, მწამებლები, მეგის ქარდავა და რეკეტიორი კეზერაშვილი. დღეს იგივე ხალხი უპირისპირდება ჩვენი ქვეყნის მშვიდობას. ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი შვილების უსაფრთხოებას, ჩვენს ევროპულ მომავალს.

ახლა ვუბრუნდები 2012 წელს. მაშინ ხელისუფლებაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და მოიყვანა „ქართული ოცნება". ძალიან კარგად ვიცით, ბიძინა ივანიშვილს მანამდე რა გაუკეთებია, ამაზე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, კაცმა, რომელმაც სამი მილიარდი თავისი ჯიბიდან გადაიხადა და ძალიან ბევრი მაგარი საქმე გაუკეთა ჩვენს ქვეყანას. რეალურად, მან დააბრუნა ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზაზე. აცდენილი იყო საერთოდ, გახსოვთ, რომ სააკაშვილის მთავარი იდეა იყო, არა ევროპასთან ინტეგრაციის დაჩქარება, შეგახსენებთ, რომ ს... წლის დაგვიანებით დავიწყეთ ჩვენ ასოცირების შეთანხმებაზე მუშაობა. რატომ? ამათ გადადებული ჰქონდათ. ისევე, როგორც უვიზო რეჟიმზე მუშაობა. ჩვენ დავიწყეთ, ჩვენ გადმოგვეცა, მე ვიყავი მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი და მე გადმომეცა სწორედ ეს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ" ევროინტეგრაციის გზაზე, რომ იძახიან, რომ ევროპა გვინდა. ყველას გვინდა ევროპა. შევახსენოთ მაშინ საზოგადოებას და ჩვენს ახალგაზრდებს, ვინ მოაწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას. მე მოვაწერე ხელი „ქართული ოცნების" სახელით. თავისუფალ ვაჭრობას ვინ მოაწერა? რომ ჩვენმა მოქალაქეებმა, ბიზნესმენებმა შეძლონ, ყოველგვარი გადასახადების გარეშე, ნულოვანი ბეგარით პროდუქციის გატანა. მანამდე გახსოვთ, რომ ვიზის ასაღებად რამხელა რიგები იდგა საკონსულოებში. ბევრი მაგალითი ვიცი, ღირსების შემლახავი საქციელებიც კი ხდებოდა საკონსულოებში. არ აძლევდნენ ვიზებს და არ ენდობოდნენ ჩვენს მოქალაქეებს. ჩვენმა ხელისუფლებამ გააკეთა ჩემო ძმებო და დებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო. ჩვენმა ხელისუფლებამ გააკეთა ის, რომ ჩვენი ქვეყანა აღიარეს, როგორც სანდო პარტნიორი. როდის მოხდა ეს? 2015 წლის 17 დეკემბერს, როცა საბოლოოდ, ჩემი მეთაურობით, მაშინ პირველი პრემიერმინისტრობის დროს დაიხურა ყველა ვალდებულება და ქვეყანამ დაიწყო უვიზოდ მიმოსვლა ევროპაში. არა მხოლოდ ელიტამ, სააკაშვილის ელიტამ ან სხვა შეძლებულმა ფენამ, არამედ, ნებისმიერ ადამიანს დღეს შეუძლია, იყიდოს ას ევროდ ბილეთი, გაფრინდეს ევროპაში და მეორე დღეს წამოვიდეს საქართველოში. ეს ვინ გააკეთა მეგობრებო? „ქართულმა ოცნებამ". ეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა, – ამის შესახებ მთავრობის მეთაურმა განაცხადა.

მისივე თქმით, ახლა საჭიროა სიტუაციის დამშვიდება, სტაბილურობა და განვითარების მაღალი ტემპი.

„ჩვენ დავამშვიდებთ სიტუაციას, გვჭირდება სიტუაციის დამშვიდება, სტაბილურობა, განვითარების მაღალი ტემპები და ყველაფერი იქნება ძალიან კარგად.

ბოლოს მინდა ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ მათ კიდევ ერთხელ წააგეს და ვერ შეძლებენ ჩვენი ქვეყნის დანგრევას. მათ ერთხელ უკვე დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენ მეორედ აღარ მივცემთ ამის საშუალებას, – აღნიშნა პრემიერმა.

# საქართველოდან ფედერალური ბიუროს მიერ ძებნილი პირის ექსტრადიცია განხორციელდა

საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ძებნილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ექსტრადიცია განხორციელდა. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, აშშ-ში ჩატარებული გამოძიების მიხედვით დადგენილია, რომ რუსეთის მოქალაქე 2016-2019 წლებში, მისივე შექმნილი კომპიუტერული ვირუსის გამოყენებით დაზარალებულების, მათ შორის, ფლორიდაში მცხოვრები პირების კომპიუტერულ სისტემაში შესაღწევად საჭირო მონაცემებს დაეუფლა.

ამასთან, ძებნილი პირი ინტერნეტ პლატფორმის გამოყენებით მოპოვებულ მონაცემებს და თავად კომპიუტერულ ვირუსს სხვა პირებზე ასაღებდა. აღნიშნული ქმედებების შედეგად, ბრალდებულმა დაახლოებით 1.000.000 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.

პროკურატურის ცნობითვე, ძებნილი პირი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2022 წლის 22 ოქტომბერს ქობულეთში დააკავეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულის აშშ-ში ექსტრადიცია თბილისის საქალაქო სასამართლომ დასაშვებად ცნო, რის შემდგომაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქე აშშ-ის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ ძებნილი პირის ექსტრადიციას აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი გამოეხმაურა, რომელმაც ხაზი გაუსვა საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან წარმატებულ და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

საქართველოს პროკურატურა მზადყოფნას გამოხატავს, ძებნილი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით, აშშ-ის კომპეტენტურ ორგანოებთან მომავალშიც წარმატებით ითანამშრომლოს.



# დაკავებისას ბადრი ესებუამ აღიარა, რომ „თანხის ნაწილი დახარჯა, ნაწილი კი დაკარგა“



ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბადრი ესებუას სასამართლო პროცესზე სხვა მოწმეებთან ერთად ის პოლიციელიც დაიკითხა, რომელიც ბადრი ესებუას ძმის სახლის ჩხრეკაში და ასევე, თავად ბადრი ესებუას დაკავების სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. გიორგი ქადარიას განმარტებით, დაკავებისას ბადრი ესებუამ მათთან საუბრისას აღიარა, რომ მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ მიღებული თანხის ნაწილი დახარჯა, ნაწილი კი დაკარგა.

– ბადრი ესებუას ძმის, ბიძინა ესებუას სახლში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ვიყავით მისული, ვეძებდით ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას და მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ აღებულ ფულად თანხას. მართალია ფულადი თანხა და საბრძოლო მასალა ჩვენ მიერ ნაპოვნი არ იქნა. ასევე, ვმონაწილეობდი ბადრის დაკავების ოპერაციაში და ბადრიმ მაშინ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ თანხის ნაწილი დახარჯა, ნაწილი კი დაკარგა. ეს საუბარი მოისმინა ჩემმა თანამშრომელმაც, – განაცხადა გიორგი ქადარიამ.

მოწმის ეს განცხადება თავად ბრალდებულმა გააპროტესტა. როგორც ესებუამ აღნიშნა, მოწმე იტყუება.

გიორგი ქადარიას გამოკითხვის ბოლოს, ბრალდებულმა ბადრი ესებუამ სიტყვა ითხოვა.

– იმ განცხადებასთან დაკავშირებით დავუსვამ კითხვას, სადაც თქვა, ბადრიმ აღიარა და გვითხრა, რომ თანხის ნახევარი დავხარჯე, ნახევარი კი დავკარგეო. ისე აგიდგათ თქვენ გვერდები, – ასე მიმართა ბადრი ესებუამ მოწმე გიორგი ქადარიას.

პროკურორმა მირანდა წერეთელმა ბრალდებულს კორექტული საუბრისკენ მოუწოდა. ბადრი ესებუამ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ მას მოწმისთვის არ შეუგინებია.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# მამაკაცს, რომელმაც ქუთაისში, მეზობელი სანადირო თოფიდან გასროლით შვილების თანდასწრებით მოკლა, უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

მამაკაცს, რომელმაც ქუთაისში, მეზობელი სანადირო თოფიდან გასროლით შვილების თანდასწრებით მოკლა, უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ასევე კიდევ ერთი პირი, რომელმაც მომხდარი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა. მას სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ამავე განაჩენით ასევე დამნაშავედ იქნა ცნობილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებული.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 16 ივნისს, ქუთაისში, ბრალდებულმა კონფლიქტის დროს მეზობელი, შვილების თანდასწრებით, სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა მეორე ბრალდებული, რომელმაც მომხდარი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა მკვლელობაში



ბრალდებული 2022 წლის 19 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) და 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა) წარედგინა, ხოლო მეორე პირს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ერთ პირს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# პროკურატურამ მარტვილის მუნიციპალიტეტში დედის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, მარტვილის მუნიციპალიტეტში დედის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 8 მარტს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ვედიდკარში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, ყოფით საკითხზე წარმოშობილი უთანხმოების ნიადაგზე, დედას შეშის ნაჭრით თავის არეში დაზიანება მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახით 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

# ბათუმში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტზე, რა დროსაც ე.წ. ბატუტის გადაბრუნების შედეგად ბავშვი გარდაიცვალა, პოლიციამ ერთი პირი დააკავა

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული პასუხისმგებელი იყო ბულვარში განთავსებული აღნიშნული ე.წ. ბატუტის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, თუმცა მან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 12 მარტს ბათუმის ბულვარში მომხდარი ფაქტის გამოძიების ფარგლებში ერთი პირი – 1958 წელს დაბადებული ე.ა. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ძლიერი ქარის გამო, ბათუმის ბულვარში მდებარე ე.წ. ბატუტი გადაბრუნდა, რა დროსაც კონსტრუქციაზე მყოფი ორი მცირეწლოვანი დაშავდა, რომელთაგან ერთ-ერთი – 2014 წელს დაბადებული დ.პ. მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მომხდარის გამო დაშავდა კიდევ ერთი მოქალაქე.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული პასუხისმგებელი იყო ბულვარში განთავსებული აღნიშნული ე.წ. ბატუტის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, თუმცა მან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით



მიმდინარეობს, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესის დარღვევას, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



# მიხეილ სააკაშვილი: „არავის ეგონოს, რომ კარგად ვარ, დღეს ორჯერ დავკარგე გონება“

– დღეს ორჯერ დავკარგე გონება, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გზავნილშია აღნიშნული, რომელიც მის „ფეისბუქ“ გვერდზე გავრცელდა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა მასთან ევროპელი ექიმების შეშვების შესახებ განაცხადა, ეს საკითხი დაყოვნებულია.

– არავის ეგონოს, რომ კარგად ვარ, რადგან ამდენს ვწერ. დღეს ორჯერ დავკარგე გონება.

ღარიბაშვილმა მიუნხენში განაცხადა, ევროპელ ექიმებს შევუშვებთო და ეს საქმე უკვე 10 დღე ყოვნდება, მაგრამ, სანამ პირში სული მიდგას, ვიბრძოლებ, – წერს სააკაშვილი.

# არმაზ ახვლედიანი: „მერაბიშვილის მოწოდება მავნებლობაა და ივანიშვილის რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება“



საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებები „მავნებლობაა“ და „ივანიშვილის რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება“.

არმაზ ახვლედიანის თქმით, „ოცნების ძალადობრივი მანქანა“ სწორედ მსგავსი „რევანშისტული ძალების ხარჯზე ინარჩუნებს მმართველობას“.

– გასული კვირის დიდებული საპროტესტო მუხტისა და უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური გამარჯვების ფონზე მერაბიშვილის მოწოდება მავნებლობაა და ივანიშვილის რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება.

რით ვერ გაიგეთ, რომ „ოცნების“ ძალადობრივი მანქანა სწორედ მსგავსი რევანშისტული ძალების ხარჯზე ინარჩუნებს მმართველობას! ყველა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე, პოლიტიკოსი, მკაცრად უნდა გაემიჯნოს ქვეყნის ნორმალური, ევროპული მომავლის დამსამარებელ მსგავს მოწოდებებს და სწორად გაიაზროს, რომ საქართველოს წარმატებული, დემოკრატიული პერსპექტივა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა წარსული და დღევანდელი რეჟიმების უსამართლობები ჩაითვლება დანაშაულებრივ ექსპერიმენტად, როცა საზოგადოება და მის მიერ დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკური გუნდი ბოლომდე გაემიჯნება ამ წარსულს და სრულად განიმსჭვალება საქართველოს ეროვნული, ევროპული, დემოკრატიული სულისკვეთებით! – წერს ახვლედიანი.

2023, 14 მარტი, №51

# გენერალი ზალუჟნი რუსების ხაფანგში არ გაება

ხერსონის დაცემის შემდეგ რუსი ექსპერტები აცხადებდნენ, რომ წარუმატებლობა დროებითია, უკვე ამა წლის ზამთარში ხერსონსაც დავიბრუნებთ და მთელს დონბასსაც, ზაპოროჟიეს ოლქსაც დავიპყრობთო.



რუსების გათვლა არ გამართლდა. ევროპამ რუსული გაზის ალტერნატივა იპოვა და ზამთარს გაუძლო. აშშ-ში უკრაინისადმი დახმარებას მხარი დაუჭირეს როგორც დემოკრატებმა, ისე რესპუბლიკელებმა. ამრიგად, დახმარება გაგრძელდა. უკრაინამაც გადაიტანა დაბომბვები. ამაო გამოდგა რუსების ყველა მცდელობა, გაენადგურებინათ უკრაინული ენერგოსისტემა. მეტიც, პუტინის ტაქტიკამ უკრაინელები კიდევ უფრო გააბოროტა. რუსებმაც დასახულ მიზნებს ვერ მიაღწიეს.

რუსებმა გააძლიერეს შეტევები როგორც დონბასში, ისე უკრაინის სამხრეთში. აქ ოკუპანტები წააწყდნენ წინააღმდეგობას, უკრაინული არმიის ძალისხმევას ყველა მიმართულებით. სრულფასოვანი შეტევის განხორციელება ჩაშალა. აღმოჩნდა, რომ რუსეთს მასობრივი შეტევის ძალა უბრალოდ არ ჰქონდა. მოსკოვიც იძულებული გახდა, ყურადღების კონცენტრაცია პატარა ქალაქ ბახმუტზე მოეხდინა. ქალაქს სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, რუსებმა ბახმუტისაკენ დიდი ძალები გადაისროლეს. აქ იყვნენ ფირმა ვაგნერის ბანდიტები, კადიროველები, აგრეთვე რუსი მედესანტეები.

რუსების მახეც ამაში მდგომარეობდა. ბახმუტისაკენ რეზერვების გადასროლა უკრაინული არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილის გამოფიტვას ნიშნავდა. ეს კი გაზაფხულზე დაგეგმილ უკრაინელთა კონტრშეტევას ჩაშლიდა. ამერიკელები, კერძოდ, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ოსტინი, ურჩევდნენ უკრაინელებს, რომ ბახმუტიდან ჯარი გამოეყვანათ. უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ რჩევა მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა. ბახმუტიდან ჯარი ნაწილობრივ გაიყვანეს. მათი ადგილი დაიკავეს სპეცნაწილებმა, რომლებიც ქალაქის პირობებში ბრძოლისათვის საგანგებოდ არიან გაწვრთნილი.

ბახმუტისათვის ბრძოლები გაგრძელდა. ყოველდღე რუსები უკვე მხოლოდ ბახმუტთან 600-680 მეომარს კარგავენ. სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსული არმიის დანაკარგებმა უკვე 160.000-ს გადააჭარბა. უკრაინული ჯარის გამოფიტვის ნაცვლად, დაიწყო რუსების გამოფიტვა.

ამასობაში დადგა გაზაფხული. აპრილ-მაისში მთელი მსოფლიო უკრაინელთა მასობრივ კონტრშეტევას მოელის.

# ზელენსკი ჩეხეთის პრეზიდენტს დაუკავშირდა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ჩეხეთის პრეზიდენტს პეტერ პაველს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა უკრაინის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია იყო.

ზელენსკიმ გამოთქვა იმედი, რომ ჩეხეთი მხარს დაუჭერს უკრაინას თავის ევროატლანტიკურ მისწრაფებებში. პაველმა მიუგო:

– თქვენი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა. ამიტომ ყველაფერში მხარს გიჭერთ!

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ოკუპანტები დონბასის ფრონტზე შეტევას განაგრძობენ

უკრაინაში ომი გრძელდება. რუსი ოკუპანტები დონბასის ფრონტზე შეტევას განაგრძობენ. მიუხედავად ამისა, მტერმა წინ ვერ წაიწია. უკრაინელები ინარჩუნებენ პოზიციებს უგლედართან, სვატოვო-კრემენოესთან, მარინკასთან, ავდეევკასთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკრაინელთა წარმატება ბახმუტთან. მიუხედავად ოკუპანტების აგრესიისა, უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. მტერმა ბახმუტისათვის ალყის შემორტყმა ვერც ამჯერად შეძლო.

ოკუპანტების აგრესიის პასუხად უკრაინულმა არმიამ განახორციელა დარტყმა დონეცკის ცენტრზე. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. დონეცკი ფაქტიურად დაცარიელდა.

– 2014 წელს დონეცკში მილიონამდე მცხოვრები იყო! ახლა მხოლოდ 100-120 ათასი იქნება, – აცხადებს დონეცკის მერი.

განხორციელდა დარტყმები გორლოვკაზე, სტახანოვსკზე, აგრეთვე ლუგანსკის ოლქზე. შედეგად საავადმყოფოები გაივსო დაჭრილი რუსი ჯარისკაცებით.

– ადგილები დაჭრილებისათვის არ გვყოფნის, ამიტომ იძულებულნი ვართ, ისინი გადავიყვანოთ ვორონეჟში, როსტოვსა და ვოლგოგრადში, – აღიარებს რტრ-ი.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთ რეგიონს, აქ პოზიციური ბრძოლები გრძელდება. რუსი ოკუპანტები ხერსონ-ზაპოროჟიეს მიმართულებით თავდაცვაზე გადავიდნენ. ისინი უკრაინელთა პოზიციების დაბომბვას განაგრძობენ. უკრაინელები ვალში არ რჩებიან.

რუსების აგრესიულობამ მათ ბევრი ვერაფერი მისცა. ოკუპანტებმა ვერც ერთი მიმართულებით ვერ წაიწიეს წინ. სამაგიეროდ, მათ რიგებში მსხვერპლი გაიზარდა. მხოლოდ გასული დღის განმავლობაში რუსეთმა 1.000 ჯარისკაცი დაკარგა. სულ ომის დაწყებიდან დღემდე განადგურებულია 160.000 რუსი ოკუპანტი.

# მაფიის მეთაური ციხიდან გადაბმული ზეწრების გამოყენებით გაიქცა

იტალიის კუნძულ სარდინიაზე მკაცრი რეჟიმის საპყრობილიდან მაფიური დაჯგუფების მეთაური გაიქცა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაფიოზმა მარკო რადუანომ ციხიდან გაქცევა ერთმანეთზე გადაბმული ზეწრების დახმარებით მოახერხა.



აპულიური მაფიის „საკრა კორონა უნიტას“ 40 წლის მეთაური მარკო რადუანო იტალიის ქალაქ ნუოროში მდებარე ყველაზე კარგად დაცული ბადუ-ე-კაროსის კოლონიიდან გაიქცა. იქ ის 18-წლიანი პატიმრობის სასჯელს იხდიდა ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის და ასევე ახალ სასამართლო პროცესს ელოდა, რომელსაც მკვლელობის ბრალდება უნდა განეხილა. ციხიდან გაქცევის მომენტისთვის რადუანოს პატიმრობის ოთხი წელი უკვე მოხდილი ჰქონდა.

რადუანო, რომელიც ასევე პალონეს მეტსახელითაცაა ცნობილი, ციხეში სამაგალითო ქცევით გამოირჩეოდა და წახალისების მიზნით საპატიმროს ხელმძღვანელობამ შენობის ზედა სართულზე მდებარე ბიბლიოთეკაში მუშაობის უფლება მისცა. სავარაუდოდ, სწორედ ამან მისცა მას იმის საშუალება, რომ გაქცევა კარგად დაეგეგმა. ის ზედა სართულიდან კარგად აკვირდებოდა გარე პერიმეტრს და შეეძლო გამოეთვალა დაცვის თანამშრომლების გადაადგილების განრიგი და გაეანგარიშებინა ის დრო, როდესაც შენობის ის მხარე მეთვალყურეობის გარეშე დარჩებოდა.

პატიმრის გაუჩინარება მისი გაქცევიდან მხოლოდ ორი საათის შემდეგ დააფიქსირეს. ის 19:00 საათზე ბიბლიოთეკიდან თავის საკანში უნდა დაბრუნებულიყო.

იტალიის პოლიციამ სარდინიაზე გაქცეული დამნაშავის დასაკავებლად მასშტაბური ოპერაცია დაიწყო. კუნძულის ყველა გზაზე, ყველა კუთხეში განთავსებულია საგანგებო საგუშაგოები, პოლიციის ოფიცრები ყველა აეროპორტსა და საბორნე გადასასვლელს ამოწმებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ამერიკულ-უკრაინული კავშირი მტკიცეა!



რაც უფრო ჭიანურდება რუსეთ-უკრაინის ომი, მით უფრო იზრდება რუსული დეზინფორმაციული ტალღა. ასე, მაგალითად, გამოცემა „პოლიტიკოში“ გამოჩნდა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ აშშ-ში უკმაყოფილონი არიან უკრაინით, რადგანაც ბახმუტის დაცვას მთელი ძალისხმევა მოანდომეს; უკრაინელები კი იმედგაცრუებულნი არიან ამერიკელებით იარაღის საკმარისი ოდენობით მიუწოდებლობის გამო.

ამასთან დაკავშირებით თეთრმა სახლმა სპეციალური განცხადება გააკეთა:

– აშშ-უკრაინის კავშირი მტკიცეა, როგორც არასოდეს! ჩვენ ვეხმარებით უკრაინას და მომავალშიც დავეხმარებით!

# მოლდოვაში პრორუსული ძალების გეგმები ჩაიშალა

მოლდოვაში პრორუსული ძალები სულ უფრო თავხედურად იქცევიან. კვირას პრორუსული „შორის პარტია“ მიტინგის მოწყობას გეგმავდა. ამ დროს დაგეგმილი იყო პროვოკაციები.

– ჩვენი აგენტი დემონსტრანტების რიგებში დამკვიდრდა! რიგი მანიფესტანტი, რომელიც სინამდვილეში რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელია, გეგმავს ტერაქტებს, აფეთქებებს და ა.შ. – აცხადებდნენ მოლდოველი ჩეკისტები.

მიტინგის ჩატარების დღეს კიშინიოვში ვითარება მკვეთრად დაიძაბა. უცნობმა პირებმა დარეკეს უშიშროებაში და განაცხადეს, რომ ქალაქის ცენტრალურ ვაგზალზე ბომბია დამონტაჟებული. შემოწმებით გაირკვა, რომ ეს სიცრუეა. ამავე დროს მოლდოვის უშიშროებამ აიყვანა ის პირები, რომლებიც დემონსტრაციის დროს აფეთქებებს აპირებდნენ.

– ყველა მათგანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, – ამბობს მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ.

რაც შეეხება მიტინგს, ჩხუბის პროვოცირების მცდელობები არც აქ წყდებოდა. გარკვეული ჯგუფი შეეცადა პოლიციასთან შეტაკების მოწყობას. ხულიგნები დააკავეს. მიუხედავად ამისა, მიტინგი მაინც ჩატარდა. შეკრებილები სკანდირებდნენ: რუსეთი! რუსეთი! მიტინგმა სათანადო რეზოლუციაც მიიღო. მასში დაგმობილია ფასების ზრდა, კორუფცია და ა.შ. დეპუტატების ჯგუფი „შორის პარტიიდან“ პოლიციამ მთავრობის სახლში შეუშვა. მათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ხსენებული რეზოლუცია გადასცეს.

– მაია სანდუმ 24 საათში პასუხი უნდა გაგვცეს! ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუმორჩილებლობის კომპანიას დავიწყებთ! – განაცხადა „შორის პარტიის“ წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა ტრაუბერგმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## სპორტი

## შედეგები

12 მარტი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-ასტონ ვილა ........ 1:1
მანჩესტერი-საუთჰემპტონი ........ 0:0
ფულემი-არსენალი ........ 0:3
ნიუკასლი-ვულვზი ........ 2:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 27 | 21 | 3 | 3 | 62-25 | 66 |
| 2.სიტი | 27 | 19 | 4 | 4 | 67-25 | 61 |
| 3.მანჩესტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 41-35 | 50 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 15 | 3 | 9 | 49-37 | 48 |
| 5.ნიუკასლი | 25 | 11 | 11 | 3 | 37-18 | 44 |
| 6.ლივერპული | 26 | 12 | 6 | 8 | 47-29 | 42 |
| 7.ბრაიტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 45-31 | 39 |
| 8.ფულემი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-37 | 39 |
| 9.ბრენტფორდი | 25 | 9 | 11 | 5 | 40-33 | 38 |
| 10.ჩელსი | 26 | 10 | 7 | 9 | 27-26 | 37 |
| 11.ასტონ ვილა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-39 | 35 |
| 12.კრ.პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 21-33 | 27 |
| 13.ვულვზი | 27 | 7 | 6 | 14 | 20-37 | 27 |
| 14.ნოტინგემი | 26 | 6 | 8 | 12 | 21-47 | 26 |
| 15.ევერტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 20-38 | 25 |
| 16.ლესტერი | 26 | 7 | 3 | 16 | 37-46 | 24 |
| 17.ვესტ ჰემი | 26 | 6 | 6 | 14 | 24-34 | 24 |
| 18.ბორნმუთი | 26 | 6 | 6 | 14 | 25-51 | 24 |
| 19.ლიდსი | 26 | 5 | 8 | 13 | 31-42 | 23 |
| 20.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 4 | 16 | 20-41 | 22 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ნორვიჩი-სანდერლენდი ........ 0:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 2:1
ვერდერი-ლევერკუზენი ........ 2:3
ვოლფსბურგი-უნიონი ........ 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 15 | 7 | 2 | 71-25 | 52 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 16 | 2 | 6 | 49-30 | 50 |
| 3.ლაიფციგი | 24 | 13 | 6 | 5 | 49-29 | 45 |
| 4.უნიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 36-28 | 45 |
| 5.ფრაიბურგი | 24 | 13 | 6 | 5 | 36-33 | 45 |
| 6.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 46-34 | 40 |
| 7.მაინცი | 24 | 10 | 6 | 8 | 39-35 | 36 |
| 8.ვოლფსბურგი | 24 | 9 | 8 | 7 | 43-32 | 35 |
| 9.ლევერკუზენი | 24 | 10 | 4 | 10 | 43-39 | 34 |
| 10.გლადბახი | 24 | 8 | 6 | 10 | 38-42 | 30 |
| 11.ვერდერი | 24 | 9 | 3 | 12 | 37-46 | 30 |
| 12.კიოლნი | 24 | 6 | 9 | 9 | 32-38 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 8 | 3 | 13 | 31-44 | 27 |
| 14.ბოხუმი | 24 | 7 | 1 | 16 | 26-56 | 22 |
| 15.ჰერტა | 24 | 5 | 6 | 13 | 29-45 | 21 |
| 16.შტუტგარტი | 24 | 4 | 8 | 12 | 29-41 | 20 |
| 17.შალკე | 24 | 4 | 8 | 12 | 20-44 | 20 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 24 | 5 | 4 | 15 | 30-44 | 19 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ჰანზა ........ 1:1
კარლსრუე-ჰამბურგი ........ 4:2
კილი-რეგენსბურგი ........ 1:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-სოსიედადი ........ 1:1
სევილია-ალმერია ........ 2:1
ვილიარეალი-ბეტისი ........ 1:1
ბილბაო-ბარსელონა ........ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 21 | 2 | 2 | 47-8 | 65 |
| 2.რეალი | 25 | 17 | 5 | 3 | 50-19 | 56 |
| 3.ატლეტიკო | 24 | 13 | 6 | 5 | 38-19 | 45 |
| 4.სოსიედადი | 25 | 13 | 6 | 6 | 33-24 | 45 |
| 5.ბეტისი | 25 | 12 | 6 | 7 | 33-26 | 42 |
| 6.ვილიარელი | 25 | 11 | 5 | 9 | 29-24 | 38 |
| 7.რაიო | 25 | 9 | 8 | 8 | 29-28 | 35 |
| 8.ოსასუნა | 25 | 9 | 7 | 9 | 22-24 | 34 |
| 9.ბილბაო | 25 | 9 | 6 | 10 | 33-27 | 33 |
| 10.მალიორკა | 25 | 9 | 5 | 11 | 22-26 | 32 |
| 11.სელტა | 25 | 8 | 7 | 10 | 29-34 | 31 |
| 12.ხირონა | 24 | 8 | 6 | 10 | 38-38 | 30 |
| 13.სევილია | 25 | 7 | 7 | 11 | 29-40 | 28 |
| 14.ვალიადოლიდი | 25 | 8 | 4 | 13 | 19-35 | 28 |
| 15.ესპანიოლი | 25 | 6 | 9 | 10 | 31-39 | 27 |
| 16.კადისი | 25 | 6 | 9 | 10 | 20-37 | 27 |
| 17.ვალენსია | 25 | 7 | 5 | 13 | 28-28 | 26 |
| 18.ხეტაფე | 25 | 6 | 8 | 11 | 25-34 | 26 |
| 19.ალმერია | 25 | 7 | 4 | 14 | 29-44 | 25 |
| 20.ელჩე | 25 | 2 | 7 | 16 | 19-49 | 13 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ლეგანესი ........ 3:0
ხიხონი-მირანდესი ........ 3:4
ლევანტე-ალბასეტე ........ 0:0
კარტახენა-ანდორა ........ 0:3
გრანადა-პონფერადინა ........ 2:2

### იტალია. სერია ა

ლეჩე-ტორინო ........ 0:2
ვერონა-მონცა ........ 1:1
კრემონეზე-ფიორენტინა ........ 0:2
რომა-სასუოლო ........ 3:4
იუვენტუსი-სამპდორია ........ 4:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 26 | 22 | 2 | 2 | 60-16 | 68 |
| 2.ინტერი | 26 | 16 | 2 | 8 | 47-30 | 50 |
| 3.ლაციო | 26 | 14 | 7 | 5 | 41-19 | 49 |
| 4.რომა | 26 | 14 | 5 | 7 | 35-25 | 47 |
| 5.მილანი | 25 | 14 | 5 | 6 | 42-32 | 47 |
| 6.ატალანტა | 26 | 12 | 6 | 8 | 42-30 | 42 |
| 7.იუვენტუსი | 26 | 16 | 5 | 5 | 43-22 | 38 |
| 8.ტორინო | 26 | 10 | 7 | 9 | 29-29 | 37 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 6 | 10 | 31-34 | 36 |
| 10.უდინეზე | 26 | 8 | 11 | 7 | 34-30 | 35 |
| 11.ფიორენტინა | 26 | 9 | 7 | 10 | 31-31 | 34 |
| 12.მონცა | 26 | 9 | 6 | 11 | 31-36 | 33 |
| 13.სასუოლო | 26 | 9 | 6 | 11 | 34-40 | 33 |
| 14.ემპოლი | 26 | 6 | 10 | 10 | 23-34 | 28 |

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმის დინამომ, ტორპედომ და თელავმა მატჩები შემოაბრუნეს

**დინამო (ბთ)-სამტრედია 3:2**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**
**0:1 გვიშიანი (20), 1:1 ბიძინაშვილი (24), 1:2 ნაჭყებია (49), 2:2 ტეიდი (69), 3:2 ფლამარიონი (79)**

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, მ.კობახიძე, რეხვიაშვილი, ჩაბრაძე (ბაგრატიონი 40), ვიდაკოვიჩი (ტეიდი 55), ალთუნაშვილი (ზარია 65), ლუდუშაური, ბიძინაშვილი (იაკობსენი 65), ფლამარიონი, თ. კაპანაძე (კვერნაძე 65)

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, გვიშიანი (ბოჭორიშვილი 75), აბულაძე, კილასონია, უბილავა, ოლატუნჯი, ხაიბულაევი (ზარიძე 82), ინჯგია (დ.კირკიტაძე 72), ჩიტაიშვილი (ექვთიმიშვილი 72), ნაჭყებია, ჩამბა (ჩარგეიშვილი 82)

ბათუმის დინამო ორჯერ აგებდა სამტრედიასთან, მაგრამ ზღვისპირელებმა კიდევ ერთხელ შემოატრიალეს თამაში და საბოლოოდ 3:2 იმარჯვეს.

ლამაზი გოლებიც ვნახეთ: სამტრედია გიორგი გვიშიანმა დააწინაურა მე-20 წუთზე, როცა შორიდან ცხრიანში დაარტყა. რამდენიმე წუთში ბათუმელმა ირაკლი ბიძინაშვილმა ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სამტრედიელთა ფლანგელმა ზვიად ნაჭყებიამ ინდივიდუალური გარღვევა ლამაზი გოლით დაასრულა – 1:2.

სამტრედია 68-ე წუთამდე იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა გარდატეხეს თამაში. ჯერ ჟოვინო ფლამარიონის დარტყმული ბურთი ბენჟამინ ტეიდს მოხვდა და ასე გათანაბრდა – 2:2, ხოლო გადამწყვეტი გოლი ფლამარიონმა ორიგინალურად გაიტანა – კეფით...

ბათუმელებს 10 ქულა აქვთ, ხოლო სამტრედიელებმა პირველ ტურში გამარჯვების მერე ზედიზედ სამჯერ წააგეს.

**ტორპედო-გაგრა 3:1**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**0:1 ბუტრიფი (4), 1:1, 2:1 კაჭარავა (7, 40), 3:1 არაბიძე (49)**

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, მონტეირო, სანდოხაძე, ნადარაია, მანჯგალაძე, არაბიძე (მჭედლიშვილი 84), სამურკასოვი (კაბალიერო 84), შულაია (ნეტო 74), ფელაი (შერგელაშვილი 46), კაჭარავა (ახვლედიანი 74)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, კაკუბავა, ჯანგიძე, გ.ლაცაბიძე, შეწირული (სულთანიშვილი 64), შონია (კაკაშვილი 80), მუსელიანი, მარკონდელე (ოდიშელიძე 80), ლომთაძე (ჩაგანავა 46), ბუტრიფი (შუბითიძე 72)

გაგრასთან აგებდა ქუთაისის ტორპედოც, მაგრამ 3:1 გაიმარჯვა. ტორპედოს 8 ქულა მოუგროვდა, გაგრა კი ბოლოზეა.

სწრაფი გოლები ვნახეთ. გაგრა ალჟირელმა იდირ ბუტრიფმა დააწინაურა, როცა დასწრებაზე ითამაშა კარგად. მალევე ტორპედომ, ნიკა კაჭარავამ გიორგი არაბიძის ჩაწოდებული თავურით გადაგზავნა კარში – 1:1.

პირველი ტაიმის ბოლოს კაჭარავამ კიდევ ერთხელ გაიტანა – ტორპედოს შემტევი კარგად გაერკვა საჯარიმოში და ტექნიკურად დაარტყა – 2:1.



მეორე ტაიმის დასაწყისში კი აკაკი შულაიამ ჩაჭრა ბურთი, არაბიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ზუსტად შეასრულა.

**საბურთალო-დილა 0:0**
**რუსთავი. სფფ ტექნიკური ცენტრი**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, გელაშვილი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, პარუნაშვილი (ო.მამაგეიშვილი 66), ქარდავა, ლ.ნონიკაშვილი, სილაგაძე (ტაბატაძე 46), გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 83), სიხარულიძე (სილა 66)

**დილა:** კუჩერენკო, თევზაძე, გომისი, მახარობლიძე, გეილი (გაფრინდაშვილი 77), ფარულავა, ვიქტორი, სილვა, ძოწენიძე, ჩიტეიშვილი, ეტოუ

საბურთალომ გორის დილას უმასპინძლა და მეტოქეს უგოლოდ დაშორდა. მიუხედავად მასპინძლების ბევრი მცდელობისა, გამარჯვების გოლი ვერა და ვერ გაიტანეს.

არადა, პირველ ტაიმში დედაქალაქელებს რამდენჯერმე მართებდათ გოლის გატანა, მაგრამ ხან სტუმართა მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც საბურთალოელებს დამამთავრებელ ფაზაში არ უმართლებდათ. გოლის გატანის კარგი შანსები ჰქონდათ ირაკლი სიხარულიძეს (ორჯერ), ლევან ნონიკაშვილს.

თბილისელები უპირატესობას მეორე ტაიმშიც ფლობდნენ, მაგრამ საგოლე მომენტები შედარებით ნაკლები ჰქონდათ. მეტოქე კი ისე თამაშობდა, ჩანდა, ქულაზეც ყაბულს იყო.

საბოლოოდ, ფრე – 0:0.

**შუქურა-თელავი 1:2**
**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**
**1:0 ჯიქია (22სკ), 1:1 ილურიძე (45), 1:2 აშორტია (75)**

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ჩაკვეტაძე, ლ.ქურდაძე, კუროკი (ვერულიძე 89), ანდრონიკაშვილი, ჯანელიძე, ც.ფაცაცია (კვარაცხელია 72), სარდალიშვილი (ანანიძე 64), მზვაკალი, ლექვთაძე (გოგოლაშვილი 46)

**თელავი:** თანდილაშვილი, ვიტინიო, გიგაშვილი, ვ.ფაცაცია, კრისტიანი (პარკინაშვილი 87), ქოჩლაძე, ცნობილაძე, ჯიქია (ფირანაშვილი 24), ილურიძე (ლ.კოხრეიძე 64), ყიფიანი (ჟივიძე 87), ყაველაშვილი (აშორტია 46)

თელავმა სეზონში პირველი გოლები გაიტანა და პირველად მოიგო. ეს ზესტაფონში ქობულეთის შუქურასთან მოახერხა.

საინტერესოა, რომ თავიდან შუქურა დაწინაურდა და ეს სწორედ თელაველის ავტოგოლით მოხდა: კახური გუნდის კაპიტანმა მირიან ჯიქიამ თავით გაიტანა საკუთარ კარში, თან ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა.

თელავმა ტაიმის ბოლოს გაათანაბრა – გიორგი ილურიძემ ვარდნაში დაარტყა და 1:1. გადამწყვეტი გოლი კი, შეცვლაზე შესულმა იმედა აშორტიამ ცაციათი მოულოდნელი დარტყმით გაიტანა – 1:2.

საინტერესოა, რომ შუქურას მონაწილეობით ამ სეზონის ოთხივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (2:1) დასრულდა. აქედან ქობულეთელებმა ერთი მოიგეს და სამი წააგეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 4 | 3 | 1 | 0 | 9-5 | 10 |
| 2.დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 11-4 | 9 |
| 3.ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 4.სამგურალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 5.საბურთალო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 6.თელავი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 7.დილა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 8.შუქურა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 9.სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |
| 10.გაგრა | 4 | 0 | 1 | 3 | 7-12 | 1 |

# ხელბურთელთა ნაკრები ლიეტუვაში დამარცხდა



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ლიეტუვას ესტუმრა და 27:35 დამარცხდა.

თბილისური მატჩისგან (საქართველომ 32:18 მოიგო) განსხვავებით, ამჯერად ლიეტუველები უკეთ გამოიყურებოდნენ და ტიტე კალანდაძის გუნდი მთელი მატჩის მანძილზე მდევრის როლში ამყოფეს.

საბოლოოდ, ბალტიისპირელებმა მოიგეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით წინ ისევ საქართველოა. თუმცა, ორივე გუნდს ჯერ კიდევ აქვს შანსი, გავიდეს მეორე ადგილზე და შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდოს. საამისოდ, ორივეს შვეიცარიელების დამარცხება სჭირდება.

საქართველოს ნაკრებში 7-7 გოლით საუკეთესოები ნიკოლოზ კალანდაძე და გიორგი დიხამინჯია იყვნენ, გიორგი ცხოვრებაძემ 6 ბურთი გაიტანა.

4 ტურის შემდეგ, 8 ქულით ლიდერი უნგრეთია, შვეიცარიას 4 ქულა აქვს, ხოლო საქართველოსა და ლიეტუვას – 2-2.

დასკვნითი ტურები 26 და 30 აპრილს არის ჩანიშნული. კალანდაძის გუნდი ჯერ შვეიცარიას უმასპინძლებს, ხოლო ბოლოს უნგრეთს ესტუმრება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 8 საკვალიფიკაციო ჯგუფის 1-2 ადგილოსანი და 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. ევრო 2024 კი, 10-28 იანვარს გერმანიაში გაიმართება და მასში მონაწილეობას ევროპის 24 საუკეთესო ნაკრები მიიღებს.

# მამუკელაშვილმა ცუდად ისროლა, მაკფადენმა — კარგად



ნბა-ში მორიგი მატჩები გაიმართა და სან ანტონიო სპურსი შინ ოკლაჰომა სითი თანდერსთან 90:102 დამარცხდა.

სანდრო მამუკელაშვილმა მოედანზე 17 წუთი გაატარა, რა დროშიც თავი 6 ქულით, 7 მოხსნითა და 1 დაფარებით გამოიჩინა.

სანდროს სროლა მაინცდამაინც არ წაუვიდა. ჩვენებურმა სამიდან ერთი ორქულიანი ჩააგდო, სამივე სამქულიანი ააცილა, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან ექვსჯერ ისროლა და მიზანს ოთხმა უწია.

სან ანტონიოსი 14 მოგებითა და 50 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მე-14 ადგილზეა, ხოლო მომდევნო მატჩი 15 მარტს, გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქთან ელის.

თად მაკფადენმა კი ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა მურსიას მორიგ ტურში უშუალო კონკურენტი, მალაგის უნიკახა დაამარცხებინა – 85:80.

მაკფადენი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 27:31 წუთში 25 ქულა, 2 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. თადმა ხუთიდან 2 ორქულიანი, 10-დან ხუთი სამქულიანი და ხუთივე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

მაკფადენის სარგებლიანობის კოეფიციენტი 23-ს გაუტოლდა და ის მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ამერიკელ ტრევის ტრაისს ჩამორჩა, რომელმაც 19 წუთში 21 ქულა ჩააგდო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# შედეგები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15.ლეჩე | 26 | 6 | 9 | 11 | 24-31 | 27 |
| 16.სალერნიტანა | 25 | 6 | 7 | 12 | 28-44 | 25 |
| 17.სპეცია | 26 | 5 | 8 | 13 | 23-42 | 21 |
| 18.ვერონა | 26 | 4 | 7 | 15 | 21-38 | 19 |
| 19.კრემონეზე | 26 | 1 | 9 | 16 | 21-48 | 12 |
| 20.სამპდორია | 26 | 2 | 6 | 18 | 13-43 | 12 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ჯენოა-ტერნანა ..... 1:0
კოზენცა-სპალი ..... 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

კლერმონი-ლანსი ..... 0:4
ანჟე-ტულუზა ..... 0:2
აიაჩო-მონპელიე ..... 0:1
ლორიანი-ტრუა ..... 2:0
ნანტი-ნიცა ..... 2:2
მონაკო-რეიმსი ..... 0:1
მარსელი-სტრასბური ..... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 21 | 3 | 3 | 68-26 | 66 |
| 2.ლანსი | 27 | 15 | 9 | 3 | 44-21 | 54 |
| 3.მარსელი | 27 | 16 | 5 | 6 | 50-28 | 53 |
| 4.მონაკო | 27 | 15 | 6 | 6 | 55-37 | 51 |
| 5.რენი | 27 | 16 | 5 | 7 | 46-28 | 50 |
| 6.ლილი | 27 | 13 | 7 | 7 | 49-36 | 46 |
| 7.ნიცა | 27 | 11 | 10 | 6 | 36-24 | 43 |
| 8.რეიმსი | 25 | 10 | 13 | 4 | 35-26 | 43 |
| 9.ლორიანი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-36 | 43 |
| 10.ლიონი | 27 | 11 | 7 | 9 | 42-31 | 40 |
| 11.ტულუზა | 27 | 10 | 5 | 12 | 43-46 | 35 |
| 12.კლერმონი | 27 | 9 | 7 | 11 | 26-38 | 34 |
| 13.მონპელიე | 27 | 10 | 3 | 14 | 42-46 | 33 |
| 14.ნანტი | 27 | 6 | 11 | 10 | 29-36 | 29 |
| 15.სტრასბური | 27 | 4 | 11 | 12 | 32-46 | 23 |
| 16.ბრესტი | 27 | 5 | 8 | 14 | 28-44 | 23 |
| 17.ოსერი | 27 | 5 | 8 | 14 | 23-49 | 23 |
| 18.აიაჩო | 27 | 6 | 3 | 18 | 20-48 | 21 |
| 19.ტრუა | 27 | 4 | 8 | 15 | 36-59 | 20 |
| 20.ანჟე | 27 | 2 | 4 | 21 | 21-60 | 10 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ჟილ ვისენტე ..... 2:1
მარიტიმუ-ბენფიკა ..... 0:3
სპორტინგი-ბოავიშტა ..... 3:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ნაიმეგენი-უტრეხტი ..... 2:2
ჰერენვენი-აიაქსი ..... 2:4
პსვ-კამბური ..... 5:2
ფეინოორდი-ვოლენდამი ..... 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-სტანდარდი ..... 2:0
ვარეგემი-გენტი ..... 2:6
გენკი-სენ ჟილუა ..... 1:2
ანდერლეხტი-სერკლი ..... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ალანია ..... 2:0
ტრაბზონი-ადანა ..... 4:1
ბაშაქშეჰირი-ბეშიქთაში ..... 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-ჰარტბერგი ..... 1:0
ვოლფსბერგერი-ლუშტენაუ ..... 0:1
ლინცერი-ზალცბურგი ..... 0:2
ალტახი-რიდი ..... 1:2
რაპიდი-ტიროლი ..... 2:0
შტურმი-აუსტრია ..... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ოლიმპიაკოსი ..... 1:3
არისი-იანინა ..... 3:1
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ..... 0:2
ვოლოსი-პაოკი ..... 0:1
იონიკოსი-ასტერასი ..... 1:0
ლევადიაკოსი-ოფი ..... 2:0
პანეთოლიკოსი-ლამია ..... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-ლუცერნი ..... 0:1
ბაზელი-სტ.გალენი ..... 1:1
გრასჰოპერსი-ვინთენთური ..... 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-ლიბერეცი ..... 4:0
ტეპლიცე-ბრნო ..... 1:1
ბოჰემიანსი 1905-პარდუბიცე ..... 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვარტა-კრაკოვია ..... 0:0
პიასტი-ლეხი ..... 1:1

ლეხის გოლი ნიკა კვეკვესკირმა გაიტანა

ლეგია-სტალი ..... 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-ვორსკლა ..... 2:2
დნიპრო-დინამო ..... 0:1
კრივბასი-შახტარი ..... 0:3
რუხი-კოლოსი ..... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ნორდსიელანდი ..... 1:1
მიდტიულანდი-ლუნგბიუ ..... 1:3
ჰორსენსი-კოპენჰაგენი ..... 1:4
ბრონდბიუ-სილკებორგი ..... 2:1

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. მოღრუბლული დილა; 7. ცნობილი შადრევანი რომში; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. მიწისძვრისგან დანგრეული ქალაქი ნეაპოლის მახლობლად; 15. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 17. მდინარე ახალციხეში; 20. რადიაქტიურობის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 6. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ქალაქი ბულგარეთში, სადაც ტარდება იუმორის საერთაშორისო ფესტივალი; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. საგანგებოდ, განსაკუთრებული წესით დამუშავებული ტყავი, იხმარებოდა საწერ მასალად ძველად; 13. კოვბოების შეჯიბრი; 19. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 21. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 22. მიწის სათხრელი მანქანა; 23. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პუნსონი; 2. ვაპორეტო; 3. აწყური; 4. ცეკვა; 5. სალივანი; 8. ლემბერგი; 12. ღრძო; 13. აგრეგატი; 14. აკორდი; 16. სანიოლი; 18. ალილო; 20. გემა.

**თარაზულად:** 6. კუკარაჩა; 7. მოწამეთა; 8. ლენოვო; 9. ფორტე; 10. ჩეფერინი; 11. ღლიღვები; 15. ეგზეგეტიკა; 17. ნოველა; 19. დრაგომანი; 21. რაფინია; 22. მიკოლოგია; 23. შავთელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. მალკო; 3. სიბარიტი; 4. პენსი; 7. გიენა; 9. ზეზვა; 12. პრეფექტურა; 14. ჯულელი; 15. ძელშავი; 17. ბულბული; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. ბოკერია; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. კაიზერი; 16. ჩაქაფული; 18. მურეი; 19. ზლოტი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. დასლერი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
14 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5898
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1230
ევრო — 2.7641
100 რუსული რუბლი — 3.4368

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტენ ჰააგი: „მსაჯის გადაწყვეტილებამ შედეგზე იმოქმედა“



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე საუთჰემპტონის დამარცხება ვერ შეძლო და ტენ ჰააგი თვლის, რომ მათი ნახევარმცველი კაზემირო პირველ ტაიმში მოედნიდან უმიზეზოდ გააძევეს და ამან საბოლოოდ მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინა: „ვფიქრობ, რომ კაზემირო იმ ეპიზოდში მხოლოდ ყვითელ ბარათს იმსახურებდა და მსაჯს შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილებაც მიეღო. მისმა გადაწყვეტილებამ მატჩის შედეგზე იმოქმედა“.

## ხავი: „ატლეტიკმა პრობლემები შეგვიქმნა“



ბარსელონამ სტუმრად ატლეტიკი დაამარცხა და შეხვედრა ბარსელონასთვის ძალიან რთული გამოდგა. ერთადერთი გოლი რაფინიას ანგარიშზეა. მატჩის შემდეგ ხავიმ განაცხადა, რომ ის ბედნიერია ასეთი რთული და მნიშვნელოვანი გამარჯვებით: „80 წუთის მანძილზე კარგად ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ უკვე გაგვიჭირდა, რადგან ატლეტიკი ძალიან ძლიერი გუნდია. მიხარია, რომ ქულები არ დავკარგეთ და ყველა თამაში ძალიან მნიშვნელოვანია“.

## გვარდიოლა: „ლაიპციგი ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ლაიპციგი ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და მისი ფეხბურთელები სამშაბათს ყურადღებით უნდა იყვნენ: „პირველ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ლაიპციგი ძლიერია და მათ პრობლემები შეგვიქმნეს. შესაძლოა მანჩესტერშიც იგივე განმეორდეს, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ორმა მეგობარმა ბანკეტზე ლატარიის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ლევანმა კბილის სახეხი ჯაგრისი მოიგო, ხოლო გიგიმ ტუალეტის სახეხი ჯაგრისი. რამდენიმე დღის შემდეგ გიგი მეგობარს ურეკავს და ეკითხება:

– როგორი ჯაგრისია, გამოგადგა?

– ნორმალურია, კარგად ხეხავს კბილებს. და შენი ჯაგრისი?

– საშინელებაა, ტუალეტის ქაღალდი ბევრად ჯობია!

•••

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

– ვასო, ხომ ამბობდი, ვეგეტარიანელი ვარო და ხორცს რატომ ჭამ?

– დღეს განტვირთვის დღე მაქვს.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– კაცო, ახალი წელი ჯერ არ დამდგარა და ჩვენს ეზოში ვილაცამ უკვე გადააგდო ნაძვის ხე.

– ეს მე გადავაგდე ძველი, რომ ახლისთვის გამეთავისუფლებინა ადგილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ნანი ბრეგვაძე დაობლებული უკრაინელებისთვის იმღერებს



ქართული სცენის დედოფალი ნანი ბრეგვაძე უკრაინაში ობლად დარჩენილი ბავშვების დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე იმღერებს.

19 მარტს „რესპუბლიკაში“ გაიმართება საქველმოქმედო კონცერტი უკრაინელი ობლად დარჩენილი ბავშვების დასახმარებლად.

დასავლეთ უკრაინაში, ივანო-ფრანკოს რეგიონში ბანაკმა „ზოლოტა გენერაცია“ შეიფარა 419 ბავშვი, რომლებმაც რუსეთ-უკრაინის ომში მშობლები დაკარგეს ან რომელთა მშობლებიც ახლა ომში იბრძვიან. ბავშვებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. სწორედ მათ დასახმარებლად ერთიანდებიან უკრაინელი და ქართველი არტისტები.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ნანი ბრეგვაძე, 2004 წლის ევროვიზიის გამარჯვებული, 2016 წლის უკრაინის მიუზიქ ევორდის გამარჯვებული, უკრაინის სახალხო არტისტი რუსლანა, უკრაინასა და საქართველოში ცნობილი მომღერალი ივანა მელაი, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“, ჯგუფი „სახე“, ეკა მამალაძე, თეა დარჩია და დავით ალადაშვილი.

კონცერტის ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება „ზოლოტა გენერაციას“ ბანაკის ბავშვების დასახმარებლად. კონცერტი უკრაინელი მომღერლის, ივანა მელაის საქველმოქმედო ფონდის ეგიდით ჩატარდება.



## დემნა: „ჩემი წილი სანერვიულო უკვე ვინერვიულე“



განუცხადა ჟურნალისტებს ქართველმა დიზაინერმა დემნამ პარიზში გამართული ახალი კოლექციის ჩვენების შემდეგ:

– გასული წლის დეკემბერში, როდესაც მენტალურად ჩიხში რამდენჯერმე შევედი, სახლში ძველი შარვლები მოვიძიე და რამდენიმე დღე მათ გადაკეთებაში გავატარე. ისე გამოვიდა, რომ კრიზისში, თავი ისევ იმას შევაფარე, რისი კეთებაც ყველაზე მეტად მიყვარს.

ძალიან ძლიერი სურვილი მქონდა შარვლების შექმნის და ბოლომდე ვერც ვხვდებოდი, რატომ, სანამ დედაჩემმა არ გამახსენა, რომ შარვალი იყო პირველი ნივთი, რომლის დიზაინიც შევქმენი. 6 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა მშობლებმა ნება დამრთეს, მეზობელი მკერავისთვის შარვალი მიმეტანა შესაკერად, დიზაინი თავად შევქმენი, ქსოვილიც ავარჩიე და მკერავთან მოსაზომად ორჯერაც მივედი. ასე დაიწყო ჩემი სიყვარული სამოსისადმი, რამაც მოგვიანებით მომანდომა, დიზაინერი გავმხდარიყავი. დეკემბერში შექმნილი შარვლების დიდი ნაწილი ჩვენებაში ნახეთ. ჩემი მშობლებიც აქ არიან.

ახლა არ ვნერვიულობ, ჩემი წილი სანერვიულო უკვე ვინერვიულე. ახლა მღელვარებას ვგრძნობ, აღელვებული ვარ. როდესაც ისეთი რაღაცის გადატანა გიწევს, რაც მე ბოლო თვეებში გადავიტანე, შოუს გამართვა ძალიან დიდი გამოწვევაა. ვამაყობ, რომ მე ეს შევძელი. მინდოდა სეტი უბრალო ყოფილიყო, დავტოვე მთავარი: სამოსი, განათება და მუსიკა. სალამოს კაბებს მეტი ყურადღება დავუთმე. ეს ჩემი ესთეტიკის ის მხარეა, რომელსაც ხალხი კარგად არ იცნობს.

შოუს ბოლოს არ გამოვდივარ, რადგან ჯერ არსად მივდივარ, არ გემშვიდობებით.

## ნათია თოდუა ბიჭის დედა გახდა

გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ქართველი მომღერალი ნათია თოდუა ბიჭის დედა გახდა. პატარას მშობლებმა ჰუგო დაარქვეს.

ნათია 27-ე დაბადების დღეს ყველაზე დიდი საჩუქრით – შვილით შეხვდა. მომღერალმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო. მისი რჩეული დავით ზურაბაშვილია. წყვილმა ახალშობილთან ერთად გადაღებული ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა.

## დოდონა ნამორაძე ბერძნულ „ვოისში“ მეორე ადგილზე გავიდა



ქართველი მომღერალი დოდონა ნამორაძე მონაწილეობას იღებდა ბერძნულ „ვოისში“, სადაც ურთულესი ეტაპები გაიარა და ფინალისტთა შორის აღმოჩნდა.

დოდონამ კონკურსის დასკვნით ნაწილში 3 სიმღერა შეასრულა და მაყურებლის გადაწყვეტილებით მე-2 ადგილი დაიკავა:

– ვინ ვის სჯობდა, უკვე აღარაფერს ნიშნავს, გაიმარჯვა 16 წლის ბავშვმა, პატარა საყვარელი გოგონაა, გთხოვთ ცუდ კომენტარებს ნუ დაუწერთ! წარმოიდგინეთ, რას იგრძნობს, როცა ამას წაიკითხავს, უდიდეს წარმატებას ვუსურვებ.

მადლიერება ცხოვრების ბოლომდე არ გამომელევა თქვენთვის, ვიცი, როგორც შრომობთ, ვიცი, რაებსაც უძლებთ! ის ფაქტი, რომ ჩემთვის ამდენი გაიმეტეთ, მეამაყება და მაბედნიერებს. ულრმესი მადლობა თქვენ, ჩემო ემიგრანტებო! მიყვარხართ, ეს მხოლოდ დასაწყისია!

## რუსთაველის თეატრში ზაურ ბოლქვაძის ხსოვნის საღამო ჩატარდება

2 აპრილს რუსთაველის ეროვნულ თეატრში პოეტ ზაურ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება.

– „შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ჩვენ აღარა ვართ შენთვის“ – თეატრალური საღამო პოეტის 90 წლის იუბილეს ეძღვნება.

**ელისო ბოლქვაძე, პიანისტი:**

– მამა უკვე 26 წელია, რაც გარდაიცვალა. იმ დღემ ჩემს ცნობიერებაში გარდატეხა მოახდინა.

ზაურ ბოლქვაძის ლექსები და შემოქმედება სამშობლოს და მოყვასის სიყვარულს ეძღვნება.

მამა 60-იანელების ერთ-ერთი უნიჭიერესი და ღირსეული წარმომადგენელია და მჯერა, რომ მისი პოეზია მუდამ გაათბობს ადამიანების გულებს და იცოცხლებს.

ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საოცარ ადამიანს ნიკა წულუკიძეს ამ საღამოს ორგანიზებისათვის!

## ასტროპროგნოზი



**14 მარტისათვის**

**ვერძი** – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კური** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **მორიელი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ცხინვალის თეატრი ინდოეთში მიიწვიეს



ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ინდოეთში გასტროლზე გაემგზავრა, სადაც „ქართული თეატრის კვირეულის“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

ცხინვალის თეატრი ინდოელის მაყურებლისთვის რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „სამხეცე“ ითამაშებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოლონური ხალხური ცეკვა; 2. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 3. კომბინაცია პრეფერანსში; 4. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 5. მთავრობის წევრი; 8. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 12. ცხვრის ქონიანი კუდი; 13. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი; 14. ზღვრული ნორმა; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 6. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ქართული ხალხური ცეკვა; 8. მოსაპირკეთებელი, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. მონასტერი საჩხერის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 19. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 21. ამერიკის აღმომჩენი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. ესპანელი ფერმწერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

